ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 17 სექტემბერი, 2018 №220 (7765) ფასი: 60 თეთრი

მამამ შვილი დანით დაჭრა

გვ.6

ზუგდიდის მერმა ლაშა გოგიამ საკრებულოს წევრებს აგინა

გვ.6

გარჩევა ზუგდიდის სასაფლაოზე და ჩხუბი მერის კაბინეტში

სუს-მა ზაზა ხასაია დააკავა

გვ.3

„სამეგრელოში წილების წინასწარი გადანაწილების გარეშე ინვესტორს არ უშვებდნენ“

ნუკრი ქანთარია: „მარიხუანის კულტივაციის კანონპროექტზე კითხვები ჩვენც გვაქვს“

გვ.4

საპატრიარქომ მთავრობას უკან დაახევინა

გვ.2

პარლამენტმა მარიხუანის კულტივაცია-რეალიზაციის საკითხის განხილვა გადადო

სამართალი გვ.7

„ფული უნდა გავანაწილოთ“

ახალ სკანდალურ ჩანაწერში „იბერიის“ საქმეზე ანზორ ჩუბინიძე და დიმიტრი ქუმსიშვილი ფიგურირებენ



ბერ-მონაზონი გერასიმე კვარაცხელია დააკავეს. მას ბრალად ედება, რომ ყოფილ სიდედრს ჩანგლით კლავდა, ყოფილ ცოლს კი დანა ესროლა

სუსმა სამი ჰაკერი დააკავა, რომლებიც მართვის მოწმობაზე გამსვლელ პირებს ეხმარებოდნენ

გვ.7

ეკონომიკა გვ.5

კალაძე: „თბილისის ყველა ძირითად ლოკაციაზე გზა გახსნილია“



5-სულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 341 ლარი და 60 თეთრია

გიორგი ქობულია: „ანაკლიის პროექტი საქართველოს 2 მნიშვნელოვან გამოწვევას უპასუხებს“

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების რაოდენობა იზრდება

ISSN 1987-9385

6 ტრაგედია სოფელ გუბისწყალში

4 ვაშინგტონი და მოსკოვი ერთმანეთს საქართველოს გამო უპირისპირდებიან

6 ზუგდიდის რესტორანში კაცი მოკლეს

4 ზურაბ აბაშიძე: „რუსეთის მხრიდან ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით უსაფუძვლო განცხადებები კეთდება“

საპატრიარქომ მთავრობას უკან დაახევინა

პარლამენტმა მარიხუანის კულტივაცია-რეალიზაციის საკითხის განხილვა გადადო

შორენა მარსაგიშვილი

კანაფის, იმავე ექვსუნჯის მოყვანა-წარმოებასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა ოდნავ მინელდა. საპატრიარქოს მკვეთრი პოზიციის გამო ხელისუფლებამ უკან დაიხია და კანონპროექტის განხილვა დროებით გადადო.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის განცხადებით, მიმდინარე კვირას პარლამენტი განიხილავს მარიხუანასთან დაკავშირებული კანონპროექტის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მოხმარებას შეეხება, ხოლო კულტივაცია-რეალიზაციისას – არა. არადა, მთელი „ოცნება“ კულტივაციის „გასაპრავებლად“ იყო მობილიზებული.

ჩვენმა საზოგადოებამ ძალიან ბევრი ზღაპარი მოისმინა იმაზე, თუ რამხელა მოგებას მოუტანს საქართველოს კანაფის წარმოება.

ამ საკითხთან დაკავშირებით მაღალი იერარქიის სასულიერო პირებმა თავიანთი უარყოფითი პოზიცია რამდენიმე დღის წინ დააფიქსირეს. პატრიარქის ქორეპისკოპოსმა იაკობმა ხელისუფლება გააფრთხილა და აღნიშნა, რომ თუ საქართველოში კანაფის პლანტაციები გაშენდებოდა, საპატრიარქო ხელისუფლებას დაუპირისპირდებოდა.

მსგავსი პოზიცია დააფიქსირა კიდევ რამდენიმე მეუფემ, მაგრამ ხელისუფლებამ ეს გაფრთხილება, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, გაატარა. მეოცნებენი უფრო მეტი შემართებით შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ ქართულ ეკონომიკას მხოლოდ კანაფი გადაარჩენდა.

ამათ რომ შეხედეს, საპატრიარქოში მიხვდნენ, რომ შთაგონებით მათი გონზე მოყვანა ძნელი იქნებოდა. ამიტომაც 15 სექტემბერს, ღამით, სასულიერო პირები ქუჩაში გამოვიდნენ და თბილისის საკრებულოსთან პარაკლისი გადაიხადეს.

ამან „ოცნება“ შეაშფოთა. პარაკლისის მიმდინარეობისას ითქვა, რომ თავის პოზიციას პატრიარქი საკვირაო ქადაგების დროს დააფიქსირებდა.

მანამდე მედიასთან კომენტარი მამა შალვა კეკელიამ გააკეთა. მისი თქმით, პატრიარქი ფიქრობს, რომ ამ კანონპროექტის მიღება არ შეიძლება.

მამა შალვას თქმით, კვირას მრევლი იკრიბება სამების ტაძარში, სადაც პატრიარქი პარაკლისს გადაიხდის და „ამის შემდეგ დაანონსდება ყველაფერი“.

– როდესაც ეს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო, პატრიარქმა განაცხადა, რომ ეს არის დიდი ბოროტება, მტრობა ქვეყნისა, ანუ ოთხმა ადამიანმა, რომლებმაც ეს მიიღეს, ეს იყო ქვეყნის მტრობა. წარმოიდგინეთ, არანაირი რეგულაციები არ იყო დაწესებული, ისე მიიღეს ეს გადაწყვეტილება, ანუ ჯერ კანონი მიიღეს და მერე იწყებენ საუბარს, რა რეგულაციები მიიღონ. ეს ხომ მძიმე მდგომარეობაა, – განაცხადა მამა შალვამ.

მისივე თქმით, მოსახლეობის 90%-ს ამ კანონპროექტის მიღება არ უნდა.

– თბილისის სამღვდელოების ნაწილი სამებაში შევიკრიბეთ. მრევლი გვესაუბრება, თუ რა პოზიცია გვაქვს მარიხუანის კულტივაციასთან დაკავშირებით და დაგვიდგებით თუ არა გვერდში? ჩვენ მოსახლეობას მხარდაჭერას ვუცხადებთ, მოსახლეობის 90%-ს ამ კანონის მიღება არ უნდა.

არ უნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოხდეს მარიხუანის კულტივაცია. არ აქვს მნიშვნელობა, სამედიცინო მიზნით იქნება თუ იმ მიზნით, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოსავალი შემოვა. ასეთი შემოსავალი არ გვჭირდება. რაც შეეხება დეკრიმინალიზაციას, ეკლესია არ ამბობს, რომ ადამიანები უნდა დაიჭირონ მარიხუანის გამო. ამის გამო არ შეიძლება იჭერდნენ ადამიანებს და ციხეში სვამდნენ. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ შეიქმნას სარეაბილიტაციო ცენტრები.

რა მოხდა ამ კანონის მიღების შემდეგ – პირიქით, გამრავლდა ამ ნარკოტიკის მომხმარებელთა რაოდენობა. როდესაც მეტადონის პროგრამა დაწესდა ჩვენს ქვეყანაში, პირობა იყო, რომ მეტადონის პროგრამა შეამცირებდა ნარკოტიკების მომხმარებლების რაოდენობას. თქვენ შეგიძლიათ, გაეცნოთ ამ პროგრამას, თუ მეტადონის პროგრამაში თავიდან 500 კაცი შევიდა, დღეს ამ პროგრამაში არის 50.000 ადამიანი, ანუ ემატება მომხმარებელთა რაოდენობა, – განაცხადა მამა შალვამ.

საკვირაო ქადაგებისას პატრიარქმა მართლაც დააფიქსირა თავისი პოზიცია. ეს პოზიცია საკმაოდ მკვეთრი იყო, მაგრამ საზოგადოება რატომღაც უფრო მკვეთრ პროტესტს ელოდა.

მისი თქმით, ბოლო დროს ნარკოტიკების გამო ხალხში მღელვარება შემოვიდა.

პატრიარქი ამბობს, რომ ნარკოტიკები ძალიან საშიშია.

– ადამიანის ცხოვრება სავსეა განსაცდელით. ჩვენ ვხვდებით განსაცდელს რწმენით, მოთმინებით და, იმედია, რომ ის განსაცდელი უფრო ადვილად განქარდება. განსაცდელი ალბათ საჭიროა ადამიანისთვის, ალბათ, უფლის განგებით უფრო მტკიცდება ადამიანი, მყარდება ადამიანი, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ განსაცდელი მთავრდება სიხარულით. განსაცდელი მძიმე გადასატანია, მაგრამ სიხარულით მთავრდება. აი, ამ ბოლო დროს მღელვარება შემოვიდა ჩვენს ხალხში, რომ ნარკოტიკები, მარიხუანა, კანაფი და სხვა ნარკოტიკები შემოვა, იქნება მიღებული. არ უნდა შეგვეშინდეს, არ უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, რომ ღმერთმა მიგვატოვა ჩვენ.

ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ ისეც, რომ ჩვენ შეგვტკივა გული ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისათვის და სხვას კი არ შესტკივა. მე მინდა ვთქვა, რომ არანაკლებად შესტკივა გული სამშობლოსათვის ჩვენს ხელისუფლებას. ხელისუფლება პასუხისმგებელია და ამიტომ მათზე დაკისრებულია ეს პასუხისმგებლობა. მე მინდა ვთქვა, რომ ეს ნარკოტიკები ძალიან საშიშია, – განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა.

მისი განცხადებით, არ შეიძლება, მხოლოდ ეკონომიკას ვუყუროთ.

საკვირაო ქადაგებისას ილია II-მ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ დიდი პასუხისმგებლობით უნდა შეხედოს აღნიშნულ პროცესს.

– ის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს საშიშია, რადგან სხვა ქვეყნებიდან ნარკომანები ჩამოვლენ აქ და ისარგებლებენ ამ თავისუფლებით. ამით უფრო გავრცელდება ნარკომანია საქართველოში. ამიტომ მინდა ვთხოვო ხელისუფლებას, რომ დიდი პასუხისმგებლობით შეხედონ ამას. არ შეიძლება, რომ ვუყუროთ მხოლოდ ეკონომიკას, რომ ეკონომიკურად შემოსავალი ექნება ქვეყანას, რად გვინდა ისეთი ეკონომიკა, თუ დავკარგავთ ჩვენს შვილებს. იმედი მაქვს, რომ ჩვენ გავერთიანდებით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეკლესია, ხალხი, ხელისუფლება გაერთიანდეს და ყველაფერი გაკეთონ იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს ეს დაავადებული ხალხი.

ღმერთმა მოგცეთ მადლი. ღმერთმა მისცეს მადლი საქართველოსა და ყოველ ადამიანს, რომელიც შეპყრობილია ამ სენით. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, გავიმარჯვოთ ჩვენს თავზე. მე კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ჩვენ უფრო გვიყვარს სამშობლო და ჩვენი ხალხი, ვიდრე ხელისუფლებას, იმათ არანაკლებად უყვართ, არანაკლებად სტკივათ გული. იმედია, რომ ჩვენ დავძლევთ ამ სენს. უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს. უფალმა აკურთხოს ერი თვისი, მშვიდობით, – აღნიშნა პატრიარქმა.

* * *

თბილისის საკრებულოსთან გადახდილმა პარაკლისმა და პატრიარქის განცხადებამ ხელისუფლებას გონება გაუნათა. კანაფის წარმოებაზე ხელი ბოლომდე არ აუღიათ, მაგრამ კანონპროექტის განხილვა დროებით გადადეს. ერს ამის შესახებ პირველმა კანონმდებელმა აუწყა.

ირაკლი კობახიძე გვპირდება, რომ ამ სასესიო კვირაში პარლამენტი განიხილავს მარიხუანასთან დაკავშირებული კანონპროექტის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მოხმარებას შეეხება, ხოლო კულტივაცია-რეალიზაციას – არა.

საგანგებო პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ პარლამენტში შესულია ორი კანონპროექტის პაკეტი, რომელიც ორივე საკითხს მოიცავს. აცხადებს, რომ კულტივაციის საკითხის განხილვის გადადება საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით ხდება.

– იმ პაკეტს, რომელიც დაკავშირებულია მცენარე კანაფის კულტივაციასთან და რეალიზაციასთან, აქ ჩვენ არ გვეჩქარება. მთავარია, საზოგადოება იყოს ინფორმირებული. დღეს ეს ინფორმაცია საზოგადოებას არ აქვს, მათ შორის იმაზე, რომ ეს კანონპროექტი არ ითვალისწინებს ნარკოტიკების წარმოებასა და რეალიზაციას. ხდება სპეკულაციები, არასწორი ინფორმაცია მიეწოდება საზოგადოებას ჩვენი ოპონენტების, სხვადასხვა ძალების მხრიდან, რაც არის ძალიან სამწუხარო. თუმცა, კანონპროექტი ამას არ ითვალისწინებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეს საშიშია, რადგან სხვა ქვეყნებიდან ნარკომანები ჩამოვლენ აქ და ისარგებლებენ ამ თავისუფლებით. ამით უფრო გავრცელდება ნარკომანია საქართველოში. ამიტომ, მინდა ვთხოვო ხელისუფლებას, დიდი პასუხისმგებლობით შეხედონ ამას. არ შეიძლება, ვუყუროთ მხოლოდ ეკონომიკას, რომ ეკონომიკურად შემოსავალი ექნება ქვეყანას. რად გვინდა ისეთი ეკონომიკა, თუ დავკარგავთ ჩვენს შვილებს.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება. ჩვენ საბოლოო ჯამში მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც იქნება სრულად მისაღები საზოგადოებისთვის, – აღნიშნა პირველმა კანონმდებელმა.

ის გვიმტკიცებს, რომ მმართველი გუნდისთვის მნიშვნელოვანია, საზოგადოების განწყობის მიხედვით იმოქმედოს.

– შემოსულია კანონპროექტის პაკეტი, რომელიც შეეხება საქართველოში მარიხუანის მოხმარების რეგულამენტაციასა და მცენარე კანაფის წარმოებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვიმოქმედოთ საზოგადოების განწყობის შესაბამისად. საზოგადოება აუცილებლად უნდა იყოს ინფორმირებული ასეთი საკითხების მოწესრიგების შინაარსის თაობაზე. ინფორმირებას სჭირდება დრო და, შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება 2 ნაწილად გავყოთ ამ საკითხების განხილვა. როგორც მოგეხსენებათ, 2 კანონპროექტის პაკეტია ინიცირებული.

შს სამინისტროს თხოვნით, სასწრაფოდ დავიწყებთ იმ საკითხის განხილვას, რომელიც შეეხება საქართველოში მარიხუანის მოხმარებას. დღეს ვაკუუმია დარჩენილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე და ჩვენი ამოცანაა ამ ვაკუუმის სასწრაფოდ აღმოფხვრა. შესაბამისად, მომდევნო სასესიო კვირიდან დაიწყება იმ კანონპროექტის განხილვა, რომელიც შეეხება საქართველოში მარიხუანის მოხმარების რეგლამენტაციას და საუბარია მკაცრ რეგლამენტაციაზე, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პირველ კანონმდებლის კვალდაკვალ განცხადებები გააკეთეს მამუკა მდინარაძემ და არჩილ თალაკვაძემ.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის თქმით, კანაფის მოყვანა-წარმოებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტზე ვიდრე ფართო კონსენსუსი არ იქნება, მისი განხილვა არ დაიწყება.

– მოგეხსენებათ, რომ შს სამინისტროს ინიციატივა ორი ნაწილისგან შედგება. მათ შორის პირველი, რომელიც მარიხუანის მოხმარებაზე მკაცრ რეგლამენტაციას ითვალისწინებს, საჩქაროა და პარლამენტი მას ამ კვირაში განიხილავს.

რაც შეეხება მცენარე კანაფის წარმოება-რეალიზაციას სამედიცინო და კოსმეტიკური პროდუქციის წარმოებისათვის, ეს ნამდვილად არ არის სასწრაფოდ გადასაწყვეტი საკითხი. ამავე დროს, გადაწყვეტილებაზე, რომელზეც კითხვის ნიშნები ჩნდება, საჭიროა საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობა. პროექტს ჩვენ არ მივიღებთ საზოგადოებასთან ფართო კონსენსუსის გარეშე. ამიტომ ამ საკითხის განხილვა გადაიდება და პარლამენტი მის განხილვას დროებით შეაჩერებს, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ მამუკა მდინარაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძის განცხადებით, მარიხუანის წარმოებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტზე პარლამენტი გადაწყვეტილებას ყველა არგუმენტისა და საზოგადოებასთან პოზიციების შეჯერების შემდეგ მიიღებს.

მედიასთან საუბარში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება მხოლოდ კონსენსუსითა და საზოგადოებასთან ფართო შეთანხმებით იქნება მიღებული.

თალაკვაძე გვპირდება, რომ პარლამენტის მხრიდან მაღალი მხარდაჭერა ექნება შს სამინისტროს მიერ მომზადებულ იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლითაც მარიხუანის საჯარო სივრცეში მოხმარება იკრძალება და ამ მიმართულებით უსაფრთხოების ზომები მკაცრდება.

– ჩვენ ვხედავთ დასაბუთებულ საჭიროებას, რომ შემოვიდეს მკაცრი რეგლამენტაცია, როცა იქნება მკაცრი სანქციები მარიხუანის საჯარო მოხმარებაზე, მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვაზე, არასრულწლოვნების დაყოლიებაზე. ამ ქმედებების მკაცრ დასჯას პარლამენტი მხარს დაუჭერს, – განუცხადა ჟურნალისტებს არჩილ თალაკვაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სამეგრელოში წილების წინასწარი გადანაწილების გარეშე ინვესტორს არ უშვებდნენ“

კახა მიქაია: „ივანიშვილმა ქვეყანა ჩალით თუ არ გადახურა, გოგია და გულორდავა უნდა დაიჭირონ“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ მფარველობს ზუგდიდის ყოფილ მერსა და ვიცემერს, დაიჭერენ თუ არა კორუმპირებულ ჩინოსნებს, რა ხდება სამეგრელოში, რა შემთხვევაში რეაგირებს ცენტრალური ხელისუფლება კორუფციაზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.

– ბატონო კახა, ვისაც კი დაუპირისპირდით, ყველას თანამდებობა დაატოვებინეს. შონიას, გოგიასა და გულორდავას შემდეგ ვისი ჯერია?

– მე რა შუაში ვარ? ეგენი საკუთარ თავს თავად დაუპირისპირდნენ. მე მხოლოდ ვამხელდი მათ, რასაც უმაღლესი თანამდებობის პირები ყურადღებას არ აქცევდნენ. საკმარისი იყო, აუდიოჩანაწერი გავრცელებულიყო, რომ ყველა შეფუცხუნდა. კორუმპირებულები თანამდებობიდან წავიდნენ.

ახლა ვკითხულობ, მაინცდამაინც აუდიოჩანაწერი უნდა გამოქვეყნებულიყო, რომ „ოცნება“ მისი ჩინოსნების კორუმპირებულობაში დარწმუნებულიყო? ეს დღეც დადგა და ჩანაწერი გამოქვეყნდა. ხელისუფლება იძულებული გახდა, გამოძიება დაიწყოს.

– ჩანაწერი რომ არ გამოქვეყნებულიყო, გამოძიება არ დაიწყებოდა?

– რასაკვირველია, არა. მე ამ საუბრის ჩანაწერი რომ არ გამესაჯაროებინა, ცენტრალური ხელისუფლება სამეგრელოში და კერძოდ ზუგდიდის მერიაში არსებული ვითარებით არც კი დაინტერესდებოდა.

– ცენტრალური ხელისუფლებისთვის არ არის ცნობილი, რა ხდება რეგიონებში?

– შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ცენტრში არ იცოდნენ, რას აკეთებენ ჩინოსნები ადგილებზე. რეგიონებში კორუფციული გარიგებები ზევით არის შეთანხმებული და მათ მაღალი თანამდებობების პირები მფარველობენ.

იცოდეთ, რომ არც გულორდავა, არც შონია, არც გოგია, არც ქობალია არ არიან ის ადამიანები, რომლებიც ინიციატივით გამოირჩევიან და რამის გაკეთების ერთი ადგილი აქვთ.

„ქართული ოცნების“ დამკვიდრებული პოლიტიკის შედეგია ის კორუფცია, რაც თავს დაგვატყდა სამეგრელოს რეგიონს.

– არც სხვა რეგიონებშია უკეთესად საქმე.

– სამეგრელო მაინც განსაკუთრებულია. შონიაზე, გოგიაზე, გულორდავაზე ძალიან ბევრი მაქვს ნალაპარაკევი. რეგიონში არსებულ კორუფციულ გარიგებებზე სხვებიც წერდნენ, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, სანამ აუდიოჩანაწერი არ გამოქვეყნდა, ყურიც არავის შეუბერტყავს.

– მართალია, ეს ჩინოსნები თანამდებობიდან წავიდნენ, მაგრამ შეწუხებული არ ჩანან. ძალიან თავდაჯერებულია მერის ყოფილი მოადგილე გულორდავა, რომელიც საკუთარი ფოტოგენურობით ტრაბახობს. მისი თავდაჯერებულობა იმის ბრალი ხომ არ არის, რომ ივანიშვილის კურსელია?

– და რას ელოდით გულორდავასგან, დამნაშავე ვარო, იტყოდა? საწყალი, ახლა ძალიან შავ დღეშია და საკუთარ ფოტოგენურობაზე ამიტომ ხუმრობს. ამაზე ურჩევნია საუბარი. დიახ, ის ბიძინას კურსელია, მაგრამ, ამავე დროს, ის ჯაბას ახლო მეგობარიც იყო.

– რომელი ჯაბას მეგობარი?

– რომელი ჯაბა ჰყავდა საქართველოს? ჯაბა იოსელიანის მეგობარი იყო გულორდავა. გარდა იმისა, რომ კორუმპირებულია, ეს პირი ცნობილი მხედრიონელიც გახლდათ.

– გულორდავა მხედრიონელიც იყო?

– იყო, თან ცნობილი.

– მეგრელი და მხედრიონელი? ცოტა უცნაურია.

– რატომ გიკვირთ? სამეგრელოში სხვა ცნობილი მხედრიონელებიც იყვნენ. გულორდავას შევარქვი ბიძინას კურსელი და ჯაბას ძმაკაცი. აქამდე მას ძალიან ჰქონდა ფრთები გაშლილი. ამ სკანდალის მერე სამეგრელოში კორუფციის მამას ფრთებს შეუკვეცენ.

– ვინ არის სამეგრელოში კორუფციის მამა?

– როგორ თუ ვინ? გულორდავა. ყველა გარიგებაში ეგ მონაწილეობდა. ამ კლანის წყალობით, ქრთამისა და წინასწარ წილების განაზღვრის გარეშე სამეგრელოში ინვესტორი ვერ შემოდიოდა.

დღეს ყველა წუხს, რატომ არ შემოდიან საქართველოში ინვესტორებიო. მე ვსვამ უმარტივეს კითხვას – ასეთი ხელისუფლების პირობებში რომელი ინვესტორი შემოვა საქართველოში?!

ამ ვითარებასთან შეგუებას მე არ ვაპირებ. უმსგავსობას, უსამართლობასა და კორუფციას შევარდნაძისა და მიშას დროსაც ვებრძოდი და ამ ბრძოლას ახლაც გავაგრძელებ.

თქვენ მითხარით ზემოთ, რომ ვისაც გადაეკიდეთ, ყველას დაატოვებინეს თანამდებობა. მხოლოდ იმათ ვებრძვი, ვინც დამნაშავეა და მათი წასვლა ჩემი ბრალი არ არის. არის ასეთი ქართული ანდაზა, რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო. კორუმპირებულებმა ყველაფერი თავის თავს დაუბრალონ.

– ოპოზიციის ნაწილი ამტკიცებს, რომ გოგია-გულორდავას წასვლა კვირიკაშვილის გადადგომას უკავშირდება. ამბობენ, რომ სწორედ ყოფილი პრემიერი მფარველობდა ზუგდიდის ყოფილ მერს. თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ?

– კვირიკაშვილის წასვლა სერიოზული ამბავია, მაგრამ გოგიას გადადგომასთან მას არანაირი კავშირი არა აქვს. გიდასტურებთ, რომ კვირიკაშვილი და ზურაბ ალავიძე მფარველობდნენ გოგიას. მას მფარველები მოქმედ ჩინოსნებშიც ჰყავდა.

– ვინ მფარველობდა?

– პირადად კალაძე. ის თბილისის მერის ერთ-ერთი ფავორიტი იყო და რატომ ახსენებენ კვირიკაშვილს, არ მესმის.

– კალაძე რატომ მფარველობდა, გოგია წარსულში ფეხბურთს ხომ არ თამაშობდა?

– ფეხბურთს არა, წყალბურთით იყო გატაცებული. კიდევ ყვინთავდა და ახლა ბოლომდე ჩაყვინთა. „ევროპული საქართველო“ მიიჩნევს, რომ გოგია მფარველის გარეშე დარჩა და ამიტომ მოხსნეს, მაგრამ მას მფარველი ისევ ჰყავს. უბრალოდ, იმდენად გახმაურდა ქრთამის აღების ამბავი, რომ მისი თანამდებობაზე დატოვება აღარ შეიძლებოდა.

გავრცელებული ჩანაწერიდან იმდენად ნათელი სურათი იხატება, რომ გოგიას კალაძე კი არა, მამაზეციერიც ვეღარ უშველიდა, თუ საერთოდ ჩალით არ გადახურა ეს ქვეყანა ივანიშვილმა და არ გვითხრა, გამდის და ვაკეთებ, მე და ჩემი ნაბადიო.

ეს ჩინოსნები თუ არ დასაჯეს. ჩათვალეთ, რომ ივანიშვილს მართლა ჩალით აქვს ქვეყანა დახურული.

– ამ საქმეზე სუსმა უკვე დაიწყო გამოძიება. იქ დაკითხვაზე თქვენც იყავით და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, უნდათ საქმის გამოძიება?

– სუსთან დაკავშირებით ამ ეტაპზე ბევრს არ ვისაუბრებ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ გამოძიების დიდი იმედი არ მაქვს.

დაკითხვიდან გამოსულმა ერთ-ერთ ტელევიზიას ვუთხარი, არ მაქვს იმედი, რომ „ოცნება“ რამე დადამჭრელ ზომებს მიიღებს-მეთქი. ჩვენს წინაპრებს უთქვამთ, ცდა ბედის მონახევრეაო და დაველოდოთ.

– გოგია წავიდა და ზუგდიდში მერის ვადამდელი არჩევნები ჩატარდება. ეს კორუფციული სკანდალი რაიმე გავლენას იქონიებს მერის არჩევნების შედეგზე?

– ჩვენ ხშირად გვისაუბრია იმაზე, რომ ივანიშვილმა საზოგადოება ნიჰილისტურად განაწყო. სოციალურმა პრობლემებმა და იმ უბედურებამ, რაც „ოცნებამ“ ნაციონალების შემდეგ გააგრძელა, საზოგადოება დაღალა. საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა ძალიან დაბალია.

ვისაც ოპოზიციად მიაჩნია თავი, იმას ხალხი არ ენდობა. პარტიების მიმართ უნდობლობით კარგად მანიპულირებს ხელისუფლება. ამ ნაცად ხერხს „ოცნება“ არჩევნებში კარგად გამოიყენებს.

ბედნიერი ვიქნები, თუ ერის გამოცოცხლება ჩემი კუთხიდან დაიწყება. ძალიან გთხოვთ, ხაზი გაუსვათ ამას, რომ სამეგრელო ასეთ საკითხებში ყოველთვის აქტიური იყო.

– სამეგრელო ასეთ ამბებში ხშირ შემთხვევაში ზედმეტად აქტიურიც კი იყო.

– ზედმეტად აქტიურიც ყოფილა სამეგრელო და ვისურვებდი, რომ ჩემს კუთხეს ეს ფუნქცია დაებრუნებინა. ამ ფუნქციას პოლიტიკური აქტიურობა ჰქვია და აქ ამის პოტენციალი ნამდვილად არის. ძალიან მინდა, რომ სამართლიანობის აღდგენა და სასიკეთო ცვლილებები აქედან დაიწყოს.

– ორი ხელისუფლების მოშორებაში სამეგრელომ სერიოზული როლი ითამაშა და, მესამესაც თუ მიადგნენ, არ იქნება გასაკვირი.

– შევარდნაძისა და სააკაშვილის მოშორების პროცესში მთელი საქართველო იყო ჩართული. სხვა კუთხეები ნუ მიწყენენ, მაგრამ სამეგრელომ განსაკუთრებული როლი შეასრულა. ჯერ შევარდნაძე მოიშორა და მიშა მოიყვანა, მერე მიშა გაუშვა და ბიძინა მოიყვანა. ნაციონალებიც და „ოცნებაც“ ძალიან ცუდად და ბინძურად მოექცნენ ამ კუთხეს.

– მხოლოდ „ოცნება“ და ნაციონალები რატომ, შევარდნაძის ხელისუფლება ყველაზე საშინლად მოექცა სამეგრელოს.

– შევარდნაძე ჩვენ არ მოგვიყვანია, მაგრამ, ვის მოყვანაშიც დიდი წვლილი შევიტანეთ, ისინი მოგვექცნენ ყველაზე ბინძურად. მეგრელები ამით იმედგაცრუებულები არიან, მაგრამ თავიანთ ფუნქციას დაიბრუნებენ და დანარჩენ საქართველოსთან ერთად უმსგავს ხელისუფლებას უარს ეტყვიან.

ამ ეტაპზე აქტიურობის ნიშნები არ ჩანს, მაგრამ ყველაფერი შეიცვლება. ამაზე უარეს დღეში ყოფილა ქვეყანა, მაგრამ ფეხზე დამდგარა.

– საინტერესოა, რას ფიქრობთ სამეგრელოს ახალ გუბერნატორზე. ნიუსი ვნახე, რომ სიმინდის მოსავლის აღებას დასწრებია.

– კარგია, თუ სიმინდის მოსავლის აღებას დაესწრო, მაგრამ სადღაა ასაღები სიმინდი, ფაროსანამ შეგვიჭამა. ყოველგვარი ირონიის გარეშე მინდა, მოწერელიას წარმატება ვუსურვო. მედიაში გასაჯაროებული ჩანაწერიდანაც ჩანს, თუ რა გამოწვევების წინაშეა რეგიონი.

ამ გამოწვევების გაძლება ძალიან რთულია, მაგრამ უნდა გაუძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კორუფციის ჭაობში მოადენს ეგეც ზღართანს.

ამ აუდიოჩანაწერმა და სამეგრელოში შექმნილმა ვითარებამ პოლიტიკური ლექსიც დამაწერინა.

გოგია და ქობალია,
შონია და გულორდავა,
აუ, ეს რა დომხალია,
გაუსქელდათ ბიჭებს გავა.
გოგია და ქობალია,
შონია და გულორდავა,
ყველაფერი მომპალია,
გარეთ ხე და სახლში „ტრავა“.
გოგია და ქობალია,
შონია და გულორდავა,
ელოდება ჩიტს გალია,
აღარ უნდა ამას დავა.
გოგია და ქობალია,
შონია და გულორდავა,
ქინიბწიკვით, ქინიბწიკვით,
ქინიბწიკვით არძაქ – ვავა!!!

– ქინიბწკვით არძაქ რას ნიშნავს?

– რას ნიშნავს და ჩავისვარეთ, ძმებოს. იმ ჩანაწერშიც არის ეს ფრაზა გამოყენებული და ჩემი ლექსის მუზა გახდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამუშაო ვიზიტით აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს, ვიზიტის პირველი შეხვედრა 17 სექტემბერს ვაშინგტონში, თეთრ სახლში გაიმართება. საქართველოს მთავრობის მეთაურს აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი უმასპინძლებს.

20 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკლ პომპეოს შეხვდება.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართება მოლაპარაკებები სენატორებთან. პრემიერ-მინისტრი ასევე შეხვდება შიl -ის მმართველ მარკ გრინს, lჩ-ის აღმასრულებელ დირექტორ რეი უოშბერნს, მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტ ჯიმ იონგ კიმსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველ დირექტორ კრისტინ ლაგარდს.

მთავრობის მეთაური, აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, 27 სექტემბერს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიის გენერალურ დებატების მონაწილეებს ქართულ ენაზე მიმართავს. მანამდე პრემიერი გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიის გახსნის ცერემონიას დაესწრება.

მამუკა ბახტაძე ასევე მიწვეულია აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და მისი მეუღლის სახელით ორგანიზებულ მიღებაზე, რომელიც გაერო-ს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიის მონაწილე სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურების პატივსაცემად იმართება.

ნიუ იორკში ვიზიტისას დაგეგმილია პრემიერის ორმხრივი შეხვედრები ევროკავშირის ლიდერებთან, სხვადასხვა სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთან.

პრემიერ-მინისტრი ასევე შეხვედრებს გამართავს აშშ-ის ბიზნესწრეების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან და ქართველ სტუდენტებთან, რომლებიც ნიუ იორკში სწავლობენ.

ინტერპრესნიუსი

დავით ზურაბიშვილი: „შეუძლებელია, ომის დაწყებაში დაადანაშაულო სააკაშვილი და არ დაადანაშაულო საქართველო“

რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში აგვისტოს ომის შესახებ სტატუსს წერს.

ომი საქართველომ კი არა, მიშამ დაიწყო, ვინც გაიძახით და გულწრფელად აღშფოთებულები ხართ, რა შუაშია ქვეყანა, როცა სააკაშვილზე ვუბნობთო. რამდენიმე უმარტივესი კითხვა მაქვს თქვენთან:

მეორე მსოფლიო ომი გერმანიამ დაიწყო თუ ჰიტლერმა? ავღანეთში ომი საბჭოთა კავშირმა დაიწყო თუ ბრეჟნევმა? ჰიროსიმაში ატომური ბომბი ამერიკამ ჩამოაგდო თუ ტრუმენმა?

საერთაშორისო ურთიერთობებში და მით უმეტეს ომის დროს ქვეყანა და მისი ხელისუფლება რომ ერთი და იგივეა, ამის გაცნობიერება, ეტყობა, გიჭირთ ცოტა. როგორც ჩანს, ასევე გიჭირთ იმ ელემენტარული ჭეშმარიტების გააზრება, რომ ყოველი შემდგომი ხელისუფლება პასუხისმგებელია მისი წინამორბედი ხელისუფლების ქმედებებზე და ეს არის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი.

იმავე გერმანიამ მეორე მსოფლიო ომის შედეგად ტერიტორიები დაკარგა და საერთოდ ორად გაყვეს. ეს რეალობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმდროინდელ ხელმძღვანელობას სულ არ უხაროდა, მაგრამ კანცლერ ადენაუერს, ნაციზმის დროს რეპრესირებულ ანტიფაშისტს, ის კი არ უთქვამს: გერმანია რა შუაშია, ეგ ჰიტლერი იყო ჰოლოკოსტს რომ აწყობდა, თორემ მე ციხეში ვიჯექი მის დროსო.

ამიტომაც შეუძლებელია, ომის დაწყებაში დაადანაშაულო სააკაშვილი და არ დაადანაშაულო საქართველო. შეუძლებელია, ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს წინა ხელისუფლებას ისე, რომ სერიოზულად არ დაზარალდეს ქვეყანა ამ ხელისუფლების დროს. გაიგეთ ეს ერთხელ და სამუდამოდ და შეუშვით თქვენს ტვინებში თუ დაგრჩათ რაიმე პატრიოტიზმის მსგავსი გრძნობა მაინც. თუ არადა, როგორც თქვენი საყვარელი რუსები იტყოდნენ... – წერს დავით ზურაბიშვილი.

მედიანიუსი

ნუკრი ქანთარია: „მარიხუანის კულტივაციის კანონპროექტზე კითხვები ჩვენც გვაქვს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი ნუკრი ქანთარია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მარიხუანის კულტივაციისა და ექსპორტზე გატანის შესახებ მომზადებულ კანონპროექტზე საუბრობს.



– ბატონო ნუკრი, „ქართული ოცნების“ პარტიის შეკრებაზე, რომელსაც ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გაგაცნოთ კანონპროექტი, რომელიც მარიხუანის კულტივაციასა და შემდეგ უკვე ექსპორტს ეხება. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ შეხვედრაზე და რატომ წამოიწია ამ საკითხმა ახლა?

– დიახ, ასეთი შეხვედრა ნამდვილად იყო. ამ შეხვედრაზე სხვადასხვა საკითხი განვიხილეთ და ერთ-ერთი საკითხი მათ შორის გახლდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი. თუმცა, ამ საკითხის განხილვა, როგორც ასეთი, არ ყოფილა, ძალიან მცირე დრო დაეთმო. საკითხის განხილვები ახლა იწყება და ეს უფრო ფართო სახეს მას შემდეგ მიიღებს, რაც კანონპროექტი პარლამენტში შემოვა განსახილველად.

ეს კანონპროექტი ორი ნაწილისგან შედგება.

– დიახ, პირველი ნაწილი რეგულაციებს ეხება. მე მეორე ნაწილი მაინტერესებს, სადაც კულტივაცია-ექსპორტზეა საუბარი.

– პირველი, რეგულაციების ნაწილი საკმაოდ მკაცრია. ისე არ არის, როგორც ვილაცები ამბობენ, რომ ყველაფერი დასაშვები ხდება, ასე ნამდვილად არ არის, საკმაოდ მკაცრ რეგულაციებზეა საუბარი. მარიხუანის მოწევა იკრძალება.

მეორე ნაწილი ეხება ფარმაცევტულ დანიშნულებას. ხომ არ დაიწყოს ფარმაკოლოგიური მიზნებით მისი წარმოება და საერთაშორისო ბაზარზე გატანა, ოღონდ მკაცრი რეგულაციების პირობებში. არის ქვეყნები, სადაც სწორედ ამ მიზნებით ხდება მისი გამოყენება. აი, ეს იყო ამ სხდომაზე, სხვა მეტი არაფერი არ განხილულა ამ საკითხის გარშემო.

ჩვენ ვიცით, რომ ეს ჩვენს რეალობაში ძალიან ფაქიზი თემაა. ბუნებრივია, ადვილი ნამდვილად არ არის ამ საკითხის წამოწევა. ჩემი აზრით, ყველაფერს აწონ-დაწონა უნდა. ძალიან ვწუხვარ, რომ უკვე მოჰყვა ამ საკითხს სხვადასხვა ინტერპრეტაცია, თითქოს აფთიაქებში ხდება მისი გაყიდვა ნებადართული და ა.შ., რაც სრულიად შეუსაბამოა რეალობასთან.

თუ მკაცრი რეგლამენტაცია მოხერხდება და ამ პირობებში დადებითი შედეგების მიღებაც მოხდება, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, მაგრამ სწორედ აქ არის კითხვები, რამდენად მოხერხდება რეგლამენტაცია, კონტროლი, რამდენად მოუტანს ქვეყანას ამის გატანა საერთაშორისო ბაზარზე შედეგებს, იმ წარმატებას, რომ ეს უღირდეს. ამ ყველაფერზე უნდა მივიღოთ პასუხები. თუ მოსახლეობისთვის მხოლოდ სანერვიულო გახდა და მხოლოდ ხალხი ააღელვა და სხვა არაფერი, მაშინ რა აზრი აქვს.

– ბატონო ნუკრი, რაზეც ახლა თქვენ საუბრობთ, რომ ეს საზოგადოებას აღელვებს, რომ ხალხი ამას მშვიდად არ შეხვდება, ამ მიმართულებით თუ იყო უმრავლესობის შეხვედრაზე საუბარი?

– რა თქმა უნდა, ამიტომ სწორი მიწოდებაა საჭირო. ამიტომ არის ყველა ასპექტი ასაწონ-დასაწონი. ამიტომ ახლა კანონპროექტის ავტორები როგორ მოგვაწვდიან, მათ შორის ჩვენც, პარლამენტის წევრებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. პარლამენტის წევრებს კითხვები აქვთ, ზოგი ემხრობა, ზოგი არ ემხრობა. რამდენად იქნება არგუმენტირებული, რომ ეს მოგვიტანს არა ზიანს, არამედ მოგებას, ეს არის ახლა საქმე.

თუ დაგვარწმუნებენ იმაში, რომ ეს იქნება მკაცრად რეგლამენტირებული და ვერავინ ვერ შეძლებს იქიდან სხვა დანიშნულებით მის გამოტანას, როგორც ეს, მაგალითად, ოქროს საბადოების შემთხვევაში ხდება, ხომ ვიცით, როგორ ვახერხებთ იქაც შესვლას და იქიდან ოქროს გამოტანას. ამიტომ მის სრულ დაცვაში უნდა დაგვარწმუნონ კანონპროექტის ავტორებმა.

მე, მაგალითად, ქართული ღვინო ყველა ღვინოს მირჩევნია და მგონია, რომ ყველაზე კარგია, მაგრამ ჯერ მაინც ვერ შევძელით მისი გატანა საერთაშორისო ბაზარზე, როგორც ყველაზე უკეთესის, ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ ამჯერადაც საერთაშორისო ბაზარზე შესაბამისი ადგილის დამკვიდრება გაუჭირდეს. ახლა თითქოს ახალია, თორემ ერთ-ორ წელიწადში შეიძლება აზრიც აღარ ჰქონდეს, ისე გაივსოს ბაზარი. ამ საკითხზე ალბათ სპეციალისტებმა უნდა ილაპარაკონ.

რაც შეეხება მორალურ ნაწილს, რომ ამას ჩვენ შავ ბაზარზე გავიტანთ, როგორც სახელმწიფო და გავყიდით, რომ სხვა ქვეყნის შვილები დავწამლოთ, ეს უკვე ყველაფერს სცილდება. აქ საუბარია მხოლოდ ფარმაკოლოგიურ თვისებაზე და საერთაშორისო ბაზარზე გავა მხოლოდ ნედლეულის სახით. საუბარია მხოლოდ როგორც წამალზე.

– რატომ მაინცდამაინც ახლა, რამდენად გონივრულია, მით უფრო წინასაარჩევნო პერიოდში? პოლიტოლოგები ამბობენ, რომ არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, წინ იყოს არჩევნები და პარალელურ რეჟიმში ისეთ კონსერვატიულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ხელისუფლება მარიხუანის კულტივაციის საკითხს განიხილავდეს.

– აქ ხომ არ არის საუბარი ქვეყნის შიგნით გაყიდვაზე?! ამაზე რომ იყოს საუბარი, მაშინ კი. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ყველა დეტალს სჭირდება აწონ-დაწონა და საბოლოო პოზიციაზე შეჯერება.

– თუ ფარმაკოლოგიურ დატვირთვასა და მის დადებით თვისებებზეა საუბარი, მაშინ რატომ არა ჩვენთვის? ეს კითხვაც დაისვა.

– რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ყველაფერი საჭიროებს დეტალურ განხილვას, სპეციალისტების ჩართვასა და ყველა ინფორმაციის გაანალიზებას.

– პარლამენტში უმრავლესობა მხარს დაუჭერს ამ კანონპროექტს თუ მხოლოდ მირიან წიკლაურია წინააღმდეგი?

– დიახ, მირიან წიკლაური წინააღმდეგია. სხვა ადამიანებიც არიან, რომლებსაც თავიანთი ჩამოყალიბებული აზრი აქვთ. კითხვები არის.

– ანუ ყველაფერი გადაწყვეტილი არ არის? უკანდახევა რამდენად არის შესაძლებელი?

– იმის თქმა, რომ აუცილებლად გავა ეს კანონპროექტი, მე დღეს ნამდვილად არ შემიძლია. საბოლოო ჯამში, მაინც პარლამენტმა, უმრავლესობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

ზურაბ აბაშიძე: „რუსეთის მხრიდან ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით უსაფუძვლო განცხადებები კეთდება“

რუსეთის მხრიდან ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით დროდადრო ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებები და განცხადებები კეთდება, რაც მათ საგარეო პოლიტიკურ ამოცანებს ემსახურება, ამის დანახვა მარტივია, – ასე ეხმიანება რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის განცხადებას. მარია ზახაროვამ აშშ-ისგან საქართველოში ლუგარის ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ ოფიციალური განმარტებები მოითხოვა. ზახაროვამ განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა, იგორ გიორგაძემ აღნიშნა, რომ „ლუგარის ლაბორატორიაში ადამიანებზე საიდუმლო ექსპერიმენტები ტარდება“.

როგორც აბაშიძემ „პირველ არხთან“ საუბარში აღნიშნა, ლუგარის ლაბორატორია საქართველოს საკუთრებაა, რომელიც მუშაობს გამჭვირვალობის რეჟიმში და მისი კარი ღიაა უცხოელი მეცნიერებისა და ექსპერტებისთვის.

– აღნიშნული ლაბორატორია ჩვენი ქვეყნის საკუთრებაა და ჩვენვე ვაფინანსებთ მის საქმიანობას. არანაირი დახურული ან საიდუმლო ცდები ამ ცენტრში არ მიმდინარეობს, მით უმეტეს ადამიანებზე, რაც სრული აბსურდია. ანალოგიური ლაბორატორიები არსებობს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში. ლუგარის ლაბორატორია მუშაობს გამჭვირვალობის რეჟიმში, მისი კარი ღიაა უცხოელი მეცნიერებისა და ექსპერტებისთვის. სწორედ ლუგარის ცენტრის ტრანსპარენტულობის უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარე წლის 14-15 ნოემბერს საქართველო მასპინძლობს საერთაშორისო სემინარს მოცემულ ობიექტზე. აღნიშნული ღონისძიება საქართველოსა და გერმანული მხარეების ორგანიზებით იმართება და მასში უსაფრთხოებისა და ბიოლოგიის ექსპერტები 20-მდე ქვეყნიდან მონაწილეობენ. საგულისხმოა, რომ სემინარის ორგანიზატორებმა მონაწილეობა შესთავაზეს რუსეთის მხარესაც. სამწუხაროდ, რუსი ექსპერტების ჩართულობაზე სემინარის ორგანიზატორებმა უარი მიიღეს, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

მედიანიუსი

თიანეთში ოპოზიცია და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

დაპირისპირება მოხდა თიანეთში. „ქართული ოცნებისა“ და გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის წევრებს შორის ჩხუბი მას შემდეგ დაიწყო, რაც ზაქარია ქუცნაშვილის ბიუროს თანამშრომელი და მისი მეგობარი, „ოცნების“ აქტივისტი რომა ფაშურიშვილი, გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერებმა გრიგოლ ვაშაძის პლაკატის ჩამოხევის დროს დააფიქსირეს.

ოპოზიციაში აცხადებენ, რომ დეპუტატ ქუცნაშვილის მეგობრის მხრიდან ეს პირველი შემთხვევა არ არის. ფაშურიშვილის გამოკითხვა თიანეთის პოლიციაში გვიან ღამემდე მიმდინარეობდა, რის შემდეგაც პოლიციამ მას შენობა უკანა კარიდან დაატოვებინა. მიმდინარეობს გამოძიება.

– მთელ რაიონში ყველა პლაკატი პრაქტიკულად არის ჩამოხეული და ვინ ხევდა? – დეპუტატი ქუცნაშვილის, ზაქარია ცნობილი, გამოჩენილი პოლიტიკოსი „ქართული ოცნებიდან,“ ზაქარია ქუცნაშვილის ბიუროს თანამშრომელი ეს ხელმრუდე ვაუბატონი. მიუხედავად იმისა, რომ გავაფრთხილე ბატონი ქუცნაშვილი, რომ ხელი აეღო ამ დანაშაულებრივი ქმედებისგან, დღეს ჩვენი ოფისის წარმომადგენლებმა და მეგობრებმა თიანეთში ფაქტზე წაასწრეს ბიუროს თანამშრომელი ქუცნაშვილისა და საკადრისი პასუხი გასცეს, – განაცხადა ნიკა მელიამ.

ნიუპოსტი

ვაშინგტონი და მოსკოვი ერთმანეთს საქართველოს გამო უპირისპირდებიან

მარიამ მჭედლიშვილი

სამხრეთ კავკასიაში დაწყებული გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე კავკასიელი ექსპერტების ნაწილი ერევნის მსგავს ხავერდოვან გადატრიალებას თბილისშიც არ გამორიცხავს. გამოითქმის ასევე ვარაუდები იმაზე, რომ რუსეთს საქართველოში უნდა უახლოეს ხანში ქაოსის გამოწვევა.

ამასობაში საქართველოს თემაზე უფრო გააქტიურდნენ და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ვაშინგტონი და მოსკოვი.

რამდენიმე დღის წინ საქართველოში მოქმედი აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს თაოსნობით შექმნილი ლუგარის ლაბორატორია დანაშაულებრივ მოქმედებებში დაადანაშაულა საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა იგორ გიორგაძემ. ამის შემდეგ კრემლმა რელიგიური თემატიკა აამუშავა და ამერიკა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გახლეჩის მცდელობაში ამხილა.

ალექსეევკასთან მდებარე ლუგარის ლაბორატორია აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი ერთადერთი უცხოური ბიოლაბორატორია არ არის. მსგავსი ბიოლაბორატორიები მოქმედებს სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინასა და სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ცენტრალური აზიის ზოგიერთ სახელმწიფოში. ამის გამო მოსკოვი ხშირად გამოთქვამს უკმაყოფილებას.

იგორ გიორგაძის გამოსვლამდე სომხეთის ბიოლაბორატორია ახსენა სომხეთის პრემიერმა. მან განაცხადა, რომ მისი დავალებით იქ შეუშვეს რუსი სპეციალისტები.

დაინტერესებული პირებისთვის გახსნილად ცხადდება ქართული ლაბორატორიაც. ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ობიექტის მიზნები მშვიდობიანია.

იგორ გიორგაძის განცხადებები დაემთხვა დასავლეთის მხრიდან რუსეთის დადანაშაულების ახალ ტალღას ქიმიური იარაღის გამოყენების კონტექსტში. კრემლს ემუქრება ახალი სანქციები სკრიპალების ნერვულ-პარალიტიკური გაზით მოწამვლის გამო. ამის გარდა, შეისწავლება, მონაწილეობდნენ თუ არა რუსეთის ავიაკონცერნის გამანადგურებლები ქიმიურ თავდასხმებში სირიის ტერიტორიაზე.

იგორ გიორგაძე აშშ-ის გარკვეულ წრეებს ქართული ლაბორატორიის მეშვეობით ბიოლოგიური იარაღის შემუშავების, ასევე ხალხზე ექსპერიმენტების ჩატარების ბრალდებებს უყენებს, ამასთან, ამ საქმიანობით დაინტერესებას დონალდ ტრამპს სთხოვს.

გიორგაძე ირწმუნება, რომ საქართველოში ლუგარის ლაბორატორიის ცდებს ც ჰეპატიტით დაავადებულები ემსხვერპლნენ. ისინი ლაბორატორიაში მკურნალობდნენ. გიორგაძის თქმით, 2015 წლის დეკემბერში 30 კაცი დაიღუპა, 30 და კიდევ 13 – 2016 წლის აპრილში. მათი სიკვდილის მიზეზად უცნობი გარემოება დაფიქსირდა.

ამის შემდეგ კრემლის ექსპერტებმა მგრძნობიარე რელიგიური საკითხი წამოჭრეს. ისინი პროგნოზირებენ, რომ აშშ-ის ჩარევით შეიძლება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ორად გაიხლიჩოს. ერთ-ერთი სცენარით, ვაშინგტონის ზეწოლით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოართმევენ პრივილეგიებს. მეორე ეტაპი გახდება იმ სასულიერო პირებთან ბრძოლა, რომლებიც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანამშრომლობის მომხრე არიან. მათი დასკვნით, ეს პროცესები განხეთქილებით დასრულდება.

ავტორების თქმით, სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიშში გაკრიტიკებულია რელიგიური თავისუფლება საქართველოში.

კრემლის მომხრეები აცხადებენ, რომ საქართველოს საპატრიარქოს საქმეებში მოსალოდნელია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე უეს მიტჩელის ჩარევა. იგი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რუსული ეკლესიის გეგმების არაპირდაპირ გამტარებლად მიიჩნევს. მიტჩელი აცხადებს, რომ საქართველოს რეგიონებში, ქალაქებს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს მოსახლეობა, რომელიც არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. ეს ადამიანები გზავნილებს იღებენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების საშუალებით, ქართული ეკლესია კი რუსული ეკლესიის გავლენის ირიბი გამტარებელია.

დასავლელი და ქართველი ექსპერტები, თავის მხრივ, დარწმუნებული არიან, რომ საქართველოს საზოგადოებაში, მის სხვადასხვა სეგმენტში განხეთქილებას რუსული სპეცსამსახურები მიზანმიმართულად იწვევენ.

5-სულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 341 ლარი და 60 თეთრია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, გასულ თვეს 2018 წლის განმავლობაში საარსებო მინიმუმის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. აგვისტოში საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 287

ლარი და 60 თეთრს შეადგენდა, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი იანვარში 293 ლარი და 50 თეთრი იყო.

ამასთან, გასულ თვეს საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი ივლისთან შედარებით მცირედით შემცირდა და შეადგინა 151 ლარი და 80 თეთრი.

2017 წლის აგვისტოს ანალოგიური მონაცემებით, ის 148 ლარსა და 10 თეთრს უდრიდა.

სამაგიეროდ, გასულ თვეს დაფიქსირებული საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი წინა წლის აგვისტოს მონაცემთან შედარებით დაახლოებით 7 ლარით არის გაზრდილი.

საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

საქართველოში ქალის საშუალო ანაზღაურება კაცისაზე 490 ლარით დაბალია

2018 წლის მეორე კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ საქართველოში 1.103.5 ლარი შეადგინა. წინა კვარტალთან შედარებით, საშუალო ანაზღაურება 44 ლარით გაიზარდა.

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, ქალისა და კაცის ანაზღაურება საქართველოში



ტრადიციულად განსხვავდება ერთმანეთისგან და ქალის ანაზღაურება ჩამოუვარდება კაცისას.

დაქირავებით დასაქმებული ქალის საშუალო თვიური ანაზღაურება საქართველოში 2018 წლის მეორე კვარტალში 844 ლარი იყო, ხოლო კაცის – 1.334 ლარი.

ქალის ანაზღაურება კაცისას თითქმის ყველა სექტორში ჩამოუვარდება: თუ საფინანსო საქმიანობაში ქალის საშუალო ხელფასი თვეში 1.522.8 ლარია, კაცის – 3.861 ლარი.

განათლების სფეროში ქალები საშუალოდ თვეში 570 ლარის ანაზღაურებას იღებენ, კაცები კი – 689 ლარს.

სექტორი, რომელშიც ქალებს ანაზღაურება თითქმის უტოლდება მამაკაცთა ანაზღაურებას, არის სახელმწიფო მმართველობა. ქალების საშუალო ხელფასია 1.296 ლარი, ხოლო მამაკაცების – 1.298 ლარი.

ერთადერთი სექტორი, სადაც ქალების საშუალო ხელფასი აჭარბებს მამაკაცების საშუალო ხელფასს, არის ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებისა და განაწილების სექტორი.

აქ ქალების საშუალო ხელფასი 1.332 ლარს უტოლდება, როცა მამაკაცების ხელფასი 1.232 ლარია.

ბიემჯი

გიორგი ქობულია: „ანაკლიის პროექტი საქართველოს 2 მნიშვნელოვან გამოწვევას უპასუხებს“

ანაკლიის პროექტი საქართველოს ეკონომიკური ზრდის ორ ძალიან მნიშვნელოვან გამოწვევას უპასუხებს – საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენებასა და ლოგისტიკურ ჰაბად გარდაქმნას, ასევე საზღვაო ქვეყნად ჩამოყალიბებას.

ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი ქობულიამ ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის საზღვაო სამშენებლო სამუშაოების დაწყების ოფიციალურ ღონისძიებაზე განაცხადა.

მისი აზრით, ანაკლიის პროექტი საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში ძალიან მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს და მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდება კონკურენტული მარშრუტებიდან საქართველოს დერეფანში სხვა ტვირთებისა და მოცულობების გადმოტანა.

გიორგი ქობულიამ ანაკლიის განვითარების კონსორციუმის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძესა და ანაკლიის პროექტის ინვესტორი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი დამაღრმავებელი გემი „ათენა“ და ადგილზე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

– ანაკლია ჩვენთვის არის ძალიან სერიოზული პროექტი, რომელიც პასუხობს საქართველოს ეკონომიკური ზრდის ორ ძალიან მნიშვნელოვან გამოწვევას.

პირველი გამოწვევა არის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენება და საქართველოს ლოგისტიკურ დერეფნად ჩამოყალიბება. ჯერჯერობით, ეს ხდება არასაკმარისად და ვითარდება არადამაკმაყოფილებელი ტემპებით.

ანაკლიის პროექტი შეიტანს ძალიან მნიშვნელოვან წვლილს საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში და კონკურენტული მარშრუტებიდან საქართველოში სხვა ტვირთებისა და მოცულობების გადმოტანა მოხდება. გარდა ამისა, ჩვენ გვინდა, საქართველო ჩამოვაყალიბოთ როგორც საზღვაო ქვეყანა, – განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, საქართველოს საზღვაო ქვეყნის დიდი ტრადიცია აქვს, რასაც აღდგენა სჭირდება.

– ჩვენ რამდენიმე დღის წინ გავმართეთ საერთაშორისო საზღვაო ფორუმი, სადაც ბევრი ვისაუბრეთ ამ თემაზე. ჩვენ გვჭირდება ჩვენი საზღვაო საქმიანობის გაძლიერება. ეს ეხება როგორც საზღვაო სერვისების განვითარებას, ფლოტის შექმნას, აგრეთვე მეზღვაურების უმაღლესი სკოლების მხარდაჭერას და განვითარებას.

ეს ორი გამოწვევა არის ძალიან დიდი გამოწვევა საქართველოსთვის და გვჯერა, რომ ანაკლია და ეს დიდი პროექტი წვლილს შეიტანს ამ ორი გამოწვევის გადაწყვეტაში, – განაცხადა გიორგი ქობულიამ.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პირველი ბაზის მშენებლობა 2020 წელს უნდა დასრულდეს.

ფინანსთა მინისტრი: „მარიხუანის ექსპორტით მილიარდი ლარის მოგებას ვგეგმავთ“

ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა 15 სექტემბერს „ქრონიკასთან“ საუბრისას განაცხადა, რომ სამედიცინო მიზნებისთვის მარიხუანის წარმოება მსოფლიოში წლიდან წლამდე იზრდება.

– ეს არის ძალიან მზარდი ბაზარი და ჩვენც ჩავერთვებით მასში. ჩვენ მილიარდი ლარის ექსპორტზე გასვლას ვგეგმავთ, – განაცხადა მაჭავარიანმა, თუმცა დასძინა, რომ ეს ციფრი სუბიექტურია, რადგან ექსპორტის დათვლა უფრო რთულია ვიდრე „შიდა ციფრების“.

ფინანსთა მინისტრის თქმით, ზუსტად იმის გამო, რომ კანაფის ექსპორტი ახალი დარგია, საქართველოს აქვს შანსი, დაიკავოს მოწინავე პოზიციები.

– კანაფი კი არ გადაარჩენს საქართველოს, ინოვაციური მიდგომა გადაარჩენს, – განაცხადა მაჭავარიანმა.

მინისტრის თქმით, კანაფის კონტროლის სააგენტო იქნება აბსოლუტურად გამჭვირვალე, რომელიც დაარეგულირებს ლიცენზირებას.

30 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ პარტია „გირჩის“ წევრების სარჩელი დააკმაყოფილა, რითაც კანაფის მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სასჯელი გააუქმა.

საკონსტიტუციო სასამართლომ კანაფის მოხმარებაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 2017 წლის 30 ნოემბერს გააუქმა.

იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფონზე შსს-მ კანაფის მავნე ზეგავლენის წინააღმდეგ ახალი რეგულაციები მოამზადა.

იმედინიუსი

მარიხუანის წარმოების ლიცენზია 25.000 ლარზე მეტი ეღირება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებით, სამედიცინო დანიშნულებისათვის განკუთვნილი კანაფის წარმოების ლიცენზიის ღირებულება ამ ეტაპზე განსაზღვრული არ არის.

– გავრცელებული ინფორმაცია, რომ ლიცენზიის ღირებულება 25 ათასი ლარია, სიმართლეს არ შეესაბამება. კანონპროექტით განსაზღვრული თანხა სალიცენზიო მოსაკრებელია, რაც ლიცენზიაზე განაცხადის გაკეთების წინაპირობაა. აუქციონის მონაწილეებს ეს თანხა უკან არ დაუბრუნდებათ. ასევე, სრულიად უსაფუძვლოა განცხადებები მონოპოლიური სქემის შექმნასთან დაკავშირებით. სამედიცინო დანიშნულების კანაფის მოყვანა, მისი გადაზიდვა და გადამუშავება იქნება ერთმანეთისგან გამიჯნული საქმიანობა.

ლიცენზიების რაოდენობა იქნება არანაკლებ 150-ისა, რაც გამორიცხავს ეკონომიკის მონოპოლიზებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანაფის წარმოებას, რომელსაც ახალი უწყება, „კანაფის კონტროლის სააგენტო“ გააკონტროლებს, სამედიცინო დანიშნულებისთვის არის განკუთვნილი.

„კანაფის კონტროლის სააგენტო“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქნება. სააგენტოს უფროსს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დანიშნავს. სამინისტროში სააგენტოს სტრუქტურაზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, – განმარტავენ სამინისტროში.

კალაძე: „თბილისის ყველა ძირითად ლოკაციაზე გზა გახსნილია“

თბილისის მასშტაბით, ყველა ძირითად ლოკაციაზე საგზაო სამუშაოები დასრულებულია და გზა გახსნილია.

ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ გუშინ, 16 სექტემბერს, გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, დაპირება, რომელიც მერიამ გასცა და რომელიც ითვალისწინებდა სასწავლო წლის დაწყებამდე საგზაო სამუშაოების ძირითადი ნაწილის დასრულებას, შესრულებულია.

თბილისის მერის ცნობით, საგზაო სამუშაოები, საბოლოოდ, 25 ოქტომბრისთვის დასრულდება.

– დღეს, როგორც იყო დაპირება, დამთავრდა საგზაო სამუშაოები. შეიძლება ითქვას, რომ ბარათაშვილის აღმართი, კოსტავას ქუჩა და შარტავა მთლიანად გახსნილია. მოძრაობა შეუფერხებლად არის შესაძლებელი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამუშაოები სრულად არის დამთავრებული.

ჩვენ როგორც დავპირდით მოსახლეობას, რადგან ხვალ სწავლა იწყება, სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა. გზის საფარის პირველი ფენა ყველგან დაგებულია და ის ძირითადი მტკივნეული და რთული სამუშაოები ყველგან შესრულდა.

რობაქიძის გამზირი მთლიანად დასრულდა. რაც შეეხება კოსტავას და შარტავას ქუჩებს, ასევე, ბარათაშვილის აღმართს, გაგრძელდება კეთილმოწყობის სამუშაოები. ეს ნიშნავს გზაგამყოფების მოწყობას, რომელიც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების რჩევით კეთდება. კეთდება ავტობუსებისთვის შესაბამისი ზოლები, რომ გადაადგილება უფრო მარტივი, სწრაფი და კომფორტული იყოს.

მოეწყობა ასევე ბორდიურები, საფეხმავლო ბილიკები, ველობილიკი, გარეგანათებები შეიცვლება და სადენები, რომლებიც არის ჰაერში, ყველა ჩავა მიწის ქვემოთ.

მთლიანი სამუშაოები, დაახლოებით, 20-25 ოქტომბრისთვის დასრულდება ამ ლოკაციაზე, ყველგან. მთავარი და პრინციპული იყო ის, რომ გზა გახსნილიყო და გადაადგილება თავისუფლად ყოფილიყო შესაძლებელი, რადგან ხვალ სწავლა იწყება და დაპირება, რომელიც ჩვენგან იყო გაცემული, შესრულებულია, – განაცხადა კალაძემ.

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების რაოდენობა იზრდება

2018 წლის აგვისტოში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს 250.452 ვიზიტორი ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდს 7.1%-ით აღემატება. აქედან, ყველაზე მეტი, 46.401 ვიზიტორი მარტვილის კანიონს ეწვია, 45.180 ვიზიტორი ყაზბეგის ეროვნულ პარკს, ხოლო 40.438 – პრომეთეს მღვიმეს. აგვისტოში დაცულ ტერიტორიებს ქართველებზე მეტი უცხოელი ვიზიტორი ესტუმრა. ერთ თვეში დაცული ტერიტორიები 126.559-მა უცხოელმა და 123.893-მა ქართველმა მოინახულა. უცხოელ ვიზიტორებში ყველაზე პოპულარული, ტრადიციულად, პრომეთე და მარტვილის კანიონია. ქართველი ვიზიტორების უმეტესობა კი უპირატესობას ყაზბეგის ეროვნულ პარკს ანიჭებს.

„ბადაგონის საქმე კერძო დავის საგანია“

გადაცემა „საქმის კურსში“ ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ ღვინის მწარმოებელი კომპანია ბადაგონის საქმეში ბიზნესომბუდსმენის სამსახურის მონაწილეობაზე ისაუბრა. წამყვანის შეკითხვაზე: როგორ შეაფასებდა ბადაგონის საქმეს, რომლის მთავარი საკითხი იყო, რომ ნდობაზე დაფუძნებულმა შეთანხმებებმა კომპანიაში პრობლემები გამოიწვია, საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა უპასუხა:

– ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები არის ორ კერძო სუბიექტს შორის გასარკვევი თემა, ამიტომ ჩვენი სურვილი იყო, რომ დავას გადაენაცვლებინა სასამართლოში, კერძო დავისთვის განკუთვნილ პლატფორმაზე. რაც შეეხება ბიზნესომბუდსმენის აპარატის ჩართულობას ამ პროცესში, ირაკლი ლექვინაძის განცხადებით, გარკვეულწილად, მათი ჩართულობის შედეგია, რომ მიმდინარე დავის პირობებში საწარმოს მუშაობა მხოლოდ 3 დღე იყო შეჩერებული და სხვა მხრივ სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას ხელი არ შეუშლია ბადაგონის წარმოებისათვის.

– ჩვენი მონაწილეობის მთავარი მიზანი თავიდანვე იყო, ის რომ კომპანია არ გაჩერებულიყო, მიუხედავად გამოძიებისა, რომელსაც აწარმოებდა ჯერ ფინანსური პოლიცია და შემდგომ – პროკურატურა, – აღნიშნა ბიზნესომბუდსმენმა.

ამ ეტაპზე ბადაგონის საქმეს სასამართლო იძიებს.

ზუგდიდის მერმა ლაშა გოგიამ საკრებულოს წევრებს აგინა

გარჩევა ზუგდიდის სასაფლაოზე და ჩხუბი მერის კაბინეტში

სუს-მა ზაზა ხასაია დააკავა

კურიერმა მოიპოვა სკანდალური ფარული აუდიოჩანაწერი ზუგდიდის მერიაში სავარაუდო კორუფციაზე – ის 1 საათსა და 40 წუთს გრძელდება.

აუდიოფაილიდან, რომელიც ზუგდიდის მერის კაბინეტში ჩაიწერა, დგინდება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ბიზნესმენებს ქრთამს არ თმევს.

თავდაპირველად ბიზნესმენმა ზურაბ კვირკვიამ ქრთამი ზუგდიდის მერს, ლაშა გოგიას, რეგიონის გუბერნატორს, ლევან შონიას და ვიცემერს, გია გულორდავას, გადაუხადა. ირკვევა, რომ ბიზნესმენს ზუგდიდში სამი ტერიტორიის – ავტოვაგზლის, რკინიგზის სადგურის და გულუას პარკის შეძენა სურდა.

მერს ლაშა გოგიას ტერიტორიების აუქციონზე გატანისთვის ზუგდიდი საკრებულოს ნებართვა სჭირდებოდა. საკითხი სხდომაზე გაიტანეს, თუმცა, ჩავარდა.

ჩანაწერში კარგად ისმის, როგორ ახდენდა ზეწოლას ზუგდიდი მერი საკრებულოს წევრებზე, რომ უკანონო გარიგება ბოლომდე მიეყვანა.

გინების, ზეწოლის ან გარიგების დამსახურებით, ზუგდიდის საკრებულომ მერის მოთხოვნა მეორე სხდომაზე შეასრულა. სწორედ ამის გამო, ოპოზიცია ფიქრობს, რომ გამოძიება საკრებულოს წევრების საქმიანობითაც უნდა დაინტერესდეს.

ბიზნესმენმა კვირკვიამ ზუგდიდის მერს ფულის უკან დაბრუნება სთხოვა, რადგან ის გადააგდეს და ადგილობრივმა ხელისუფლებამ პირობა არ შეასრულა.

ბიზნესმენი მერს კაბინეტში უყვირის, შეურაცხყოფს და ფულის დაბრუნებას ითხოვს. ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ქრთამს კვირკვია არა მხოლოდ ზუგდიდის მერს, არამედ მაშინდელ გუბერნატორს, ლაშა შონიასაც, აძლევდა.

– მომისმინე. თქვენ, შენ და გულორდავამ ჩემი ყ... გამიკეთეთ. თქვენ გადამაგდეთ. დღესდღეობით, დღეისათვის... ფული აიღეთ და არაფერი გაგიკეთებიათ. სულ ესაა. არცერთი საქმე არ გაგიკეთებიათ, – მიმართა კვირკვიამ ზუგდიდის მერს.

ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ბნელი 1990-იანების წესების დაცვით, მერის კაბინეტში შეხვედრამდე ზუგდიდის სასაფლაოზე იმყოფებოდნენ საქმის გასარჩევად. კურიერის ინფორმაციით, არსებობს საქმის ქურდული გარჩევის ამსახველი ჩანაწერიც.

კურიერის ინფორმაციით, ეს სკანდალური ჩანაწერი ბიზნესმენმა სუს-ში მიიტანა, თუმცა, სანამ მისი არსებობის შესახებ კურიერმა არ გაიგო, სუს-მა საგამოძიებო მოქმედებები არ დაიწყო.

* * *

14 სექტემბერს ზუგდიდის მერის ყოფილი მოადგილე, გია გულორდავა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაკითხვაზე დაიბარეს.

გია გულორდავამ უწყებაში შესვლამდე ჟურნალისტებთან საუბარში ქრთამის აღება უარყო და განაცხადა, რომ არ იცის, რაზეა საუბარი გავრცელებულ ჩანაწერში.

ყოფილი ვიცე მერი ასევე უარყოფს, რომ ბიზნესმენმა კვირკვიამ თანხა შესთავაზა, თუმცა ადასტურებს, რომ 3-4 თვის წინ მას შეხვდა.

გულორდავას თქმით, კვირკვიას ტერიტორიების გადაცემა იჯარით უნდოდა, რაზეც მერიამ უარი განუცხადა და განუმარტა, რომ გამოცხადდებოდა აუქციონი, რომელშიც მიიღებდა მონაწილეობას.

ზუგდიდის ყოფილმა ვიცემერმა თანამდებობის დატოვების შესახებაც გააკეთა კომენტარი. გია გულორდავას თქმით, ამის შესახებ გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ გამოძიებას ხელი არ შეშლოდა და ასევე ოპოზიციის მხრიდან სპეკულაციები არ გაჟღერებულიყო.

გია გულორდავა სუს-ში 9 საათის განმავლობაში იკითხებოდა. მან სუს-ის შენობა, სავარაუდოდ, უკანა კარიდან დატოვა, რადგან ის ჟურნალისტებს გამოსული არ დაუნახავთ.

„კურიერის“ წყაროს ცნობით, გულორდავამ დაკითხვაზე კორუფციულ გარიგებასთან კავშირი სრულად უარყო.

* * *

15 სექტემბერს სუს-ში ზუგდიდის მერი ლაშა გოგია დაიკითხა.

მან მოდულის შენობა 15 გვიან ღამით დატოვა. გოგიას გამოკითხვა 9 საათზე მეტხანს გაგრძელდა. გამოკითხვის დეტალებზე ყოფილ მაღალჩინოსანს ჟურნალისტებთან არ უსაუბრია. მისი თქმით, განცხადებას ის დღეს გააკეთებს.

გუშინვე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განცხადება გავრცელა. უწყების ცნობით, საქმეზე დაკავებულია ერთი პირი, ზაზა ხასაია.

განცხადებაში ნათქვამია:

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში მიმდინარეობს გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით. მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ჩატარებული საცხოვრებელი სახლების და მანქანების ჩხრეკის შედეგად, დაკავებულია მოქალაქე ზაზა ხ. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.“

ზაზა ხასაია ზურაბ კვირკვიას დაცვის წევრი და მისი მეგობარია. ზაზა ხასაიას მეუღლე ხათუნა ფიფია სუს-მა გუშინ, 16 სექტემბერს, ზუგდიდში დაკითხა.

მისი გამოკითხვა ორსაათ-ნახევარი გაგრძელდა. ხათუნა ფიფიამ სუს-ის შენობა უკომენტაროდ დატოვა.

გუშინვე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაიკითხა საგეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი ლევან შონია.

შონია საგამოძიებო უწყებაში დაახლოებით 5 საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

– კითხვები რაც იყო, ყველაფერზე გავეცი პასუხი. თუ საჭირო გახდება, კიდევ დამიბარებენ, – განაცხადა შონიამ სუს-ის შენობის დატოვების შემდეგ.

ტრაგედია სოფელ გუბისწყალში



შეყვარებული წყვილის გაპარვა ბიჭის ბებიის გარდაცვალებით დასრულდა

უბედური შემთხვევა მოხდა იმერეთში – შეყვარებული ახალგაზრდების გაპარვა ბიჭის ბებიის გარდაცვალებით დასრულდა.

მარიამ ლეჟავას მშობლები ბაჩუკი ჯანელიძის ბებია-ბაბუის სახლში, წყალტუბოს რაიონის სოფელ გუბისწყალში გუშინ, 16 სექტემბერს, გამთენიისას ჩავიდნენ. ლეჟავებმა ტუსკაძეებისგან სასწრაფოდ მოითხოვეს გოგონას უკან დაბრუნება. იყო ხმამაღალი საუბარი. თვითმხილველების თქმით, განსაკუთრებით ქალბატონი ლელა ლეჟავა აქტიურობდა. წასვლის წინ მან ფანჯრის მინები ჩაამსხვრია და დაამტვრია კარი.

ტუსკაძეების მტკიცებით, იყო მუქარაც, მომხდარიდან რამდენიმე წუთში კი 65 წლის თინა ტუსკაძე გარდაიცვალა.

დაღუპულის შვილი დედის სიკვდილში ლელა ლეჟავას ადანაშაულებს და მის დასჯას ითხოვს.

უაქციზო სიგარეტი ავტობუსის სამალავით გადაჰქონდათ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის ორ ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში, შიდა ქართლის რეგიონში, ბრალდებული მისი მართვის ქვეშ არსებულ ავტობუსში მოწყობილი სამალავებით 27.900 კოლოფი უაქციზო სიგარეტის გადაზიდვას ახდენდა. ხოლო მეორე შემთხვევაში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ბრალდებულს, მისივე მართვის ქვეშ არსებული ავტომობილით, სარეალიზაციოდ გამზადებული 1.988 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული უაქციზო სიგარეტის საერთო საბაზრო ღირებულება 75.000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

წარსულში მრავალგზის ნასამართლევი პირი ბათუმში ქურდობის ბრალდებით დააკავეს

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული, წარსულში მრავალგზის ნასამართლევი მ.ს. ბათუმში ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, მის მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე, ტურისტების დროებითი საცხოვრებელი ბინიდან სხვადასხვა სახის ნივთები და თანხა მოიპარა.

სამართალდამცველებმა მ.ს. ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნაქურდალი ნივთები და თანხა ნივთმტკიცებად ამოიღო.

შსს-ს ინფორმაციით, მ.ს.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია: მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი, 8 ვაზნა, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, კარის საკეტების გასაღები ხელსაწყოები, მობილური ტელეფონები, კომპიუტერული ტექნიკა და ფული. ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთების იდენტიფიცირების მიზნით ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მამამ შვილი დანით დაჭრა

სამართალდამცველებმა ბოლო პერიოდში იმერეთში, აჭარაში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ოჯახში ძალადობის ბრალდებით 4 პირი დააკავეს.

როგორც „ნიუპოსტს“ უწყებიდან აცნობეს, ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1954 წელს დაბადებული რ.ს. ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ რ.ს.-მ შვილს – 1974 წელს დაბადებულ მ.ს.-ს დანით სხეულზე დაზიანება მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიციამ ბრალდებული შემთხვევის ადგილზე დააკავა, დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანა, კი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11-პრიმა 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა და ძალადობის მსხვერპლთა დაცვა მოძალადეებისგან.

ოჯახში ძალადობის ბრალდებით აჭარაში, შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში 3 პირია დაკავებული. მათ მიმართ გამოძიება ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობისა და მუქარის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 126-ე პრიმა მუხლითა და 11-პრიმა 151-ე მუხლით მიმდინარეობს.

გორში სწრაფი ჩარიცხვის აპარატი და სახლი გაქურდეს

გორში სწრაფი ჩარიცხვის აპარატი და სახლი გაქურდეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ორივე შემთხვევა 15 სექტემბერს, გვიან ღამით მოხდა.

სწრაფი ჩარიცხვის აპარატი სტალინის გამზირზე გატეხეს, სახლი კი – რკინიგზის სადგურის დასახლებაში.

წინასწარი ინფორმაციით, სახლიდან წაღებულია ძვირფასი ნივთები, ,,თიბისი ფეის“ აპარატიდან კი – თანხა.

მომხდარ ფაქტებს შსს ქურდობის მუხლით იძიებს.

გარდაბანში 3 წლის გოგონა მეორე სართულიდან გადმოვარდა

უბედური შემთხვევა მოხდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირში – 3 წლის გოგონა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულიდან გადმოვარდა.

მცირეწლოვანი თავდაპირველად რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოში მოათავსეს, თუმცა ექიმებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პაციენტი თბილისში გადაეყვანათ.

გოგონას სიმაღლიდან ვარდნის შედეგად თავის ტრავმა აღენიშნება.

რუსთავთან მატარებელი მიკროავტობუსს დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გაჩიანი-რუსთავის სარკინიგზო მონაკვეთზე.

ერთმანეთს „ფორდის“ მარკის მიკროავტობუსი და სამგზავრო მატარებელი შეეჯახა. მიკროავტობუსში რუსთაველები იმყოფებოდნენ, მათ ავტომობილიდან დროულად მოახერხეს გადმოსვლა. ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო სამსახურის ეკიპაჟი.

აღნიშნულ მონაკვეთზე მიმდინარეობს საავტომობილო ხიდის რეაბილიტაცია, რის გამოც რელსებზე თვითნებურად არის გაკეთებული გადასასვლელი, სწორედ ამ გადასასვლელით სარგებლობის დროს მიკროავტობუსი ჩავარდა ლიანდაგებში და გაიჭედა.

ზუგდიდის რესტორანში კაცი მოკლეს

ზუგდიდში, რესტორან „არგოს“ ტერიტორიაზე, კაცი დაჭრეს. დაშავებული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა, როგორც ექიმები აცხადებენ, ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

გარდაცვლილს ჭრილობები ბასრი საგნით აქვს მიყენებული.

იმედინიუსი

„ფული უნდა გავანაწილოთ“

ახალ სკანდალურ ჩანაწერში „იბერიის“ საქმეზე ანზორ ჩუბინიძე და დიმიტრი ქუმსიშვილი ფიგურირებენ

„იბერიის“ საქმეზე „კურიერმა“ კიდევ ერთი ფარული ჩანაწერი მოიპოვა, სადაც ტელეკომპანიის მფლობელებს პრობლემების მოგვარებისთვის სთავაზობენ, რომ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვას 3 მილიონი მისცენ.

ჩანაწერში, რომელშიც რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ლევან ყიფიანი და „ომეგა ჯგუფის“ მფლობელი ზაზა ოქუაშვილი საუბრობენ, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროს ანზორ ჩუბინიძისა და ფინანსთა ყოფილ მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის გვარები ისმის.

ლევან ყიფიანი ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილ უფროსსა და ამჟამად სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს ანზორ ჩუბინიძეს ახსენებს, როგორც მათ გულშემატკივარს, ასევე – ყოფილ ვიცეპრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილს.

აუდიოჩანაწერში ყიფიანი და ოქუაშვილი საუბრობენ 3 მილიონზე, რომლიდანაც ნაწილი ბიუჯეტში უნდა შეიტანონ, ნაწილი კი კონტრიბუციის სახით უნდა გადაიხადოს „ომეგა ჯგუფმა“.

ლევან ყიფიანი – ესე იგი ხო გითხარი, ჩარეული ჰყავთ ანზორი, ანზორი არის ბიძინას დაცვის უფროსი, იყო ერთ-ერთი არასაუწყებო დაცვის ავტორიტეტია რა, ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ის კაცი იძახის, რო, კიდე გამიმეორა, მაგათი გაჩერება რომ ნდომებოდათო, აქამდე გაჩერდებოდაო ქარხანა პროსტა პრინციპულადო. ახალი პრემიერი მოსულია, უნდობლობა გაიჩითაო კომპანიას შორისო, ის დარჩაო... რა, კუდებიო... ქუმსიშვილის კუდიო რაღაცაო...ეს სიტუაცია იმდენად არეული არიო, რო ნდობის პონტშიო... მე ვუთხარი, მაგიტომ ჩავერიეო, რომ ნდობის მომენტი აღდგეს მეთქი რა. ბიუჯეტში შევიტანოთ მილიონი.

ზაზა ოქუაშვილი – ერთი მილიონი და ორ-ნახევარი მილიონი მთლიანად.

ლევან ყიფიანი – ხო.

ზაზა ოქუაშვილი – მარა სამმილიონ-ნახევარი დარჩა კონტრიბუშენი მაინც. ეს კონტრიბუშენი?...

ლევან ყიფიანი – ფული უნდა გავანაწილოთ რა... ფულზე, ანზორაზე, ჩემი მეგობარია და...

ზაზა ოქუაშვილი – ვინ არის ეს ანზორი, ესე იგი თავდაცვის უფროსი, ივანიშვილის.

ლევან ყიფიანი – რომელიც გვბალეშიკობს ჩვენ. დაცვის უფროსი იყო, იყო... ეხლა სახელმწიფო დაცვის უფროსია რა... მაგას ეხება აეროპორტების დაცვები ისა ისა... რა. მინისტრია რა.

ზაზა ოქუაშვილი – მინისტრია.

ლევან ყიფიანი – მთელი სახელმწიფო დაცვები მაგის ხელშია.

ნიუპოსტი

სუსმა სამი ჰაკერი დააკავა, რომლებიც მართვის მოწმობაზე გამსვლელ პირებს ეხმარებოდნენ

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის ფაქტზე საქართველოს 3 მოქალაქე დააკავეს.

უწყების ცნობით, ისინი ამ გზით მართვის მოწმობის თეორიული გამოცდის ჩაბარებაში მოქალაქეებს არაკანონიერ დახმარებას უწევდნენ.

კერძოდ, დაკავებულები შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში გამოცდაზე გამსვლელ პირებს გადასცემდნენ სპეციალურ ტექნიკურ აღჭურვილობას: მიკროკამერასა და მიკროყურსასმენს, რის შემდეგაც საგამოცდო ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, პორტატული კომპიუტერის მეშვეობით, ვიდეო და ხმოვან სიგნალს იღებდნენ.

ამ გზით ბრალდებულები ვიზუალურად ხედავდნენ საგამოცდო ბილეთებს და მოსასმენი აპარატურის მეშვეობით მართვის მოწმობის აღების მსურველ მოქალაქეებს პასუხების სწორ ვარიანტებს კარნახობდნენ.

ამ დახმარების სანაცვლოდ ისინი მოქალაქეებისგან სხვადასხვა ოდენობით ფულად თანხებს იღებდნენ.

გამოძიების მიერ ნივთმტკიცების სახით ამოღებულია 800 აშშ დოლარი და 1.976 ლარი.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექცია აწარმოებს.

სისხლიანი გარჩევა ოზურგეთში

თავდამსხმელი და დაზარალებული დაჭრილი არიან

15 სექტემბერს ოზურგეთის ცენტრში, ჭადრების ბაღში, 17 წლის ბიჭი დაჭრეს. მოზარდს ჭრილობა ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული.

დაშავებული სასწრაფო დახმარების ბრიგადამ სამედიცინო ცენტრში გადაიყვანა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული თ.ც., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, ოზურგეთში დააკავეს.

მის მიერ ჩადენილი დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, ოზურგეთში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 2001 წელს დაბადებულ ა.ნ.-ს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაზარალებული ოზურგეთის საავადმყოფოში არის გადაყვანილი და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა თ.ც. მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ურთიერთშელაპარაკებისას, საკუთარი ცივი იარაღით დაზიანებები თ.ც.-მაც მიიღო. ბრალდებულს სამედიცინო დახმარება მედიკოსებმა უკვე აღმოუჩინეს. ის ხელის მტევნისა და ბარძაყის არეშია დაჭრილი.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

„მხოლოდ 5 წლის ბავშვის საშინელი ტირილი ისმოდა, რომელიც მანქანის ქვეშ იყო მოყოლილი“

ტყიბულის ავარიის დეტალები

ტყიბულში 14 სექტემბერს მომხდარი საზარელი ავარიის შედეგად დაშავებულებიდან 13 საავადმყოფოდან გაწერეს. კვლავ მძიმეა 2 დაშავებულის მდგომარეობა, რომელთაგან ერთი ქუთაისის საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო მეორე ტყიბულის ჰოსპიტალში რჩება.

ავარიის შედეგად დაღუპულია ერთი ადამიანი. წინასწარი ინფორმაციით, მიკროავტობუსის მძღოლი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო, მან საჭე ვერ დაიმორჩილა და ჯებირს შეასკდა.

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა 5 წლის ბავშვი, რომელიც ავტომობილის ქვეშ მოჰყვა.

– უცებ მანქანა ჯებირს შეასკდა, მხოლოდ 5 წლის ბავშვის საშინელი ტირილის ხმა ისმოდა, რომელიც მანქანის ქვეშ იყო მოყოლილი მთლიანად სისხლში იყო გასვრილი, ძლივს გამოიყვანეს, – აცხადებს ერთ-ერთი დაშავებული „ნიუპოსტთან“ საუბარში.

თბილისში ბანქოს თამაშის დროს 16 წლის მოზარდი დაჭრეს

დაკავებულია 20 წლის მამაკაცი

თბილისში 16 წლის მოზარდი დაჭრეს. შემთხვევა დიღომში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსთან მოხდა. თვითმხილველთა თქმით, გვიან ღამით, მოზარდები ბანქოს თამაშობდნენ, რომლის დროსაც შელაპარაკება დაიწყო, რაც ბიჭის დაჭრით დასრულდა. მოზარდი ბარძაყის არეშია დაჭრილი.

ის იაშვილის კლინიკაშია მოთავსებული. ექიმის განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა მძიმე იყო და მას ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია. ამჟამად, მოზარდის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

დაჭრის ფაქტზე შს სამინისტრომ 20 წლის მამაკაცი დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, 16 წლის ბიჭის დაჭრის შემდეგ ბრალდებულმა მიმალვა ცადა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, 1998 წელს დაბადებული რ.ჩ. დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, დიღმის მასივში, 2002 წელს დაბადებულ შ.ჯ.-ს ბასრი საგნით ფეხის არეში ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი არასრულწლოვანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის თანამშრომლებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან 3 საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს“, – წერია შსს-ს განცხადებაში.

ბერ-მონაზონი გერასიმე კვარაცხელია დააკავეს. მას ბრალად ედება, რომ ყოფილ სიდედრს ჩანგლით კლავდა, ყოფილ ცოლს კი დანა ესროლა

35 წლის ბერ-მონაზონი გერასიმე კვარაცხელია დაკავებულია. ბერს გამოძიება ყოფილი ცოლისა და სიდედრის განზრახ მკვლელობის მცდელობას სდებს ბრალად.

საქმის მასალების მიხედვით, სასულიერო პირი რამდენიმე დღის წინ სანზონაში ყოფილ სიდედრთან სახლში მივიდა და მისი არასრულწლოვანი შვილების წაყვანა სცადა.

ყოფილი სიდედრი ირწმუნება, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ბერი მის მოკვლას გადატეხილი ჩანგლით აპირებდა, თუმცა, შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოასწრო.

დაპირისპირების მიზეზად ყოფილი სიდედრი თანხას ასახელებს. მისი მტკიცებით, გერასიმე კვარაცხელია ყოფილ ცოლს პერიოდულად თანხას სძალავდა, უარის შემთხვევაში კი მასზე სასტიკად ძალადობდა.

საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ სიდედრის ცემის შემდეგ, გაბრაზებული ბერი ყოფილი ცოლის ნაქირავებ სახლში მივიდა, ქალს ჩაუსაფრდა და არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით სამზარეულოს დანა ესროლა.

გერასიმე კვარაცხელია ქარელში ერთ-ერთ მონასტერში მსახურობდა. ის ბერად 6 წლის წინ რუის-ურბნისის მიტროპოლიტმა აკურთხა. საქმესთან დაკავშირებით მეუფე კომენტარს არ აკეთებს.

კურიერის ინფორმაციით, ბერი გერასიმე კვარაცხელია წარსულში 3-ზე მეტი მძიმე დანაშაულისთვის არის ნასამართლევი. სასულიერო პირი ახლა გლდანის მე-8 დაწესებულებაში წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. ბერი დუმილის უფლებას იყენებს და გამოძიებას ჩვენებას არ აძლევს.

სასულიერო პირის საქმის არსებითი განხილვა საქალაქო სასამართლოში მომავალ თვეს გაგრძელდება. მანამდე კი საპატრიარქოში შეხვედრას მისი ყოფილი ოჯახის წევრები გეგმავენ.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

რომის პაპმა მაფიოზებს მონანიებისკენ მოუწოდა

რომის პაპი ფრანცისკი პალერმოში ჩავიდა. მან მამა ჯუზეპეს სულის მოსახსენიებელი წირვა აღავლინა.

მამა ჯუზეპე თავის დროზე მაფიას მწვავედ დაუპირისპირდა. 1993 წელს ის მოკლეს. 2003 წელს მამა ჯუზეპე წმინდანად შერაცხეს.

პაპმა განაცხადა, რომ მაფიოზების საქმიანობა ქრისტიანულ ფასეულობებთან წინააღმდეგობაში მოდის.

– მაფიის საქმიანობის ძირითადი მახასიათებელია ძალადობა, რაც უმძიმესი ცოდვაა. მაფიის წევრებსაც მონანიებისკენ მოვუწოდებ, – თქვა პაპმა.

გერმანია ახლო აღმოსავლეთში ბაზას განათავსებს

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ურსულა ფონ დერ ლიაინმა ახლო აღმოსავლეთში გერმანიის სამხედრო ბაზის განთავსების შესაძლებლობაზე ისაუბრა.

– ჯერჯერობით საკითხი გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ბაზის განთავსებას არ გამოვრიცხავ, – ამბობს მინისტრი.

ლონდონის მერს ბრექსიტზე ახალი რეფერენდუმის ჩატარება სურს

ლონდონის მერმა ჰანმა დაწვრილებით ისაუბრა იმ რისკფაქტორებზე, რომლებიც ბრექსიტს მოჰყვება და ხელახალი რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა.

– დღეს მოსახლეობის უმრავლესობა ბრექსიტის წინააღმდეგია. ხელახალი რეფერენდუმის ჩატარება აუცილებელია, – ამბობს ჰანი.

ფილიპინებში ტაიფუნ „მანგხუტს“ 30 მაღაროელი ემსხვერპლა

ფილიპინებში, კორდილიერის რეგიონში, ტაიფუნ „მანგხუტის“ შედეგად გამოწვეული მეწყრის ჩამოწოლის გამო 30 მაღაროელი დაიღუპა.

ამის შესახებ ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო „სინჰუა“ ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, მაშველებმა გვირაბიდან 30 მაღაროელის გვამი გამოიტანეს. 13-ის ძებნის ოპერაცია გრძელდება.

ტაიფუნ „მანგხუტის“ შედეგად დაღუპულთა რიცხვი 59-მდე გაიზარდა.

მარიხუანის ინდუსტრიაში ჩართულ კანადის მოქალაქეებს აშშ-ში არ შეუშვებენ

კანადის მოქალაქეებს, რომლებიც მარიხუანას მოიხმარენ ან კანაფის ინდუსტრიაში მუშაობენ და ინვესტიციებს დებენ, აშშ-ში შესვლაზე სამუდამო აკრძალვა ემუქრებათ.

ამის შესახებ აშშ-ის საბაჟო და სასაზღვრო დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა თოდ ოუენმა განაცხადა.

კანადაში რეკრეაციული მარიხუანა ლეგალიზებულია, ხოლო აშშ-ის ფედერალური კანონმდებლობით მარიხუანის მოხმარება აკრძალულია.

თოდ ოუენის თქმით, თუ საზღვარზე შემოწმების შედეგად მანქანაში მარიხუანის ნარჩენებს აღმოაჩენენ, კანადის მოქალაქეებს დასაკითხად გადაიყვანენ. თუ პირი მოიტყუებს წარსულში მარიხუანის მოხმარების შესახებ, ეს თაღლითობა და შეცდომაში შეყვანაა, რაც აშშ-ში შესვლის სამუდამო აკრძალვას გამოიწვევს.

ასევე დაუშვებელი იქნება კანადის მოქალაქის აშშ-ში შესვლა, თუ ის აღიარებს, რომ წარსულში მოიხმარა ნებისმიერი ნარკოტიკი, რომელიც აკრძალულია აშშ-ში.

აშშ-ის საბაჟო და სასაზღვრო დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ აშშ-ში შესვლის სამუდამო აკრძალვა შესაძლოა კანადის იმ მოქალაქეებზე გავრცელდეს, ვინც კანადაში კანაფის ინდუსტრიაში მუშაობს ან ინვესტიციებს დებს ამ სფეროში.

სტოლტენბერგი: „ნატო რუსეთის წინაშე უკან არ დაიხევს!“

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უშიშროების დარგში ჯონ ბოლტონი ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა რუსეთის აგრესიული პოლიტიკა და ნატოს პოზიცია იყო.

სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ რუსეთის მთავრობამ არმიისა და სპეცსამსახურების გასაძლიერებლად უზარმაზარი თანხები გამოყო. რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას განაგრძობს. მოსკოვი მზადაა, უახლოესი მეზობლების წინააღმდეგ იარაღი გამოიყენოს. ეს თანაბრად შეეხება როგორც საქართველოს ან უკრაინას, ასევე ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს, რომლებიც ნატოს წევრები არიან. დაცულად თავს ვერც ის ქვეყნები გრძნობენ, რომლებიც ევრაზიულ კავშირში გაწევრიანდნენ. ამის ნათელი მაგალითია ყაზახეთი. მოსკოვის მუქარები ამ ქვეყნის მიმართ სულ უფრო ხშირია.

სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსები ყიდულობენ გაზეთებს, ტელევიზიებს, პოლიტიკოსებს და ა.შ. სწორედ მოსკოვის დაფინანსებულია ის ექსტრემისტული ძალები, რომლებიც ფსევდონაციონალისტური, ე.წ. ანტიგლობალისტური პროგრამით გამოდიან. მიზეზი ცხადია: ევროკავშირის დაშლისა და ევროპიდან ამერიკის გაძევების სურვილი. ცხადია ისიც, რომ ნატო ამას არ შეეგუება და რუსეთის წინაშე უკან არ დაიხევს.

– ჩვენ კონფრონტაცია არ გვსურს, მაგრამ კაპიტულაციაც გამორიცხულია! ნატო მზადაა, რუსეთს დაუპირისპირდეს. მეტიც, ნატოს გააჩნია ძალა, რომ მოსკოვის თავგაცხელებულ სტრატეგებს წესრიგისაკენ მოუწოდოს, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნატოში ინტეგრაცია შეუქცევადი პროცესია. ამ მხრივ ლიდერები საქართველო და უკრაინა არიან.

– საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება, – ამბობს სტოლტენბერგი.

ერდოღანი: „ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებამდე სომხეთთან საზღვარი არ გაიხსნება“

თურქეთის პრეზიდენტ რეჯეპ თაიპ ერდოღანის განცხადებით, სომხეთთან საზღვრის გახსნა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა შეუძლებელი იქნება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის გარეშე.

– კონფლიქტის დარეგულირებისა და დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების გარეშე საზღვრის გახსნასა და რაიმე სახის ურთიერთობის დამყარებაზე საუბარიც კი არ შეიძლება იყოს, – განაცხადა ერდოღანმა აზერბაიჯანში სამხედრო აღლუმზე გამოსვლისას.

სომხეთ-თურქეთის ურთიერთობათა ნორმალიზების პროცესი სომხეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის ინიციატივით 2008 წლის შემოდგომაზე დაიწყო. 2009 წლის ოქტომბერში ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ციურიხში ხელი მოაწერეს შეთანხმებას დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ, რომელიც ორივე ქვეყნის პარლამენტებისგან რატიფიცირებას ითხოვდა. თუმცა, 2009 წლის დეკემბერში თურქეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რომ ანკარა ოქმების რატიფიცირებას მანამდე არ განახორციელებს, ვიდრე ყარაბაღის კონფლიქტი არ გადაწყდება.

პომპეო ქერის წინააღმდეგ

აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა ყოფილ სახელმწიფო მდივნის ქერის საქმიანობა მკაცრად გააკრიტიკა.

ტრამპმა აქცენტი ქერის ირანელებთან შეხვედრებზე გააკეთა.

– ეს საიდუმლო შეხვედრები იყო, რის შედეგადაც გაფუჭდა ყველაფერი, რასაც ირანთან ამერიკამ მიაღწია, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტს მხარი აუბა ამჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა პომპეომ.

მან განაცხადა, რომ ქერის პოლიტიკა ირანის მიმართ უმწეო და უპრინციპო იყო.

– შედეგად ამერიკის ეროვნული ინტერესები შეილახა, – თქვა პომპეომ.

მანაფორტი მზადაა, გამოძიებასთან ითანამშრომლოს

ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილ ხელმძღვანელ პოლ მანაფორტს პროკურატურამ ახალი ბრალდება წაუყენა. მას უცხო სახელმწიფოსთან კავშირი და საიდუმლო გარიგებები ბრალდება.

პროკურატურა ავალებს მანაფორტს, რომ სპეცპროკურორ მიულერის ჯგუფთან ითანამშრომლოს. მანაფორტი ამაზე თანახმაა.

მიულერი ტრამპის რუსებთან კავშირის საქმეს იძიებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

ბრაზილიაში სამრქიანი ძროხა აღმოაჩინეს

ბრაზილიაში ვიდეოში მოხვდა ძროხა, რომელსაც თავზე სამი რქა აქვს. აღნიშნული ვიდეორგოლი ერთ-ერთმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

უჩვეულო ცხოველმა ფერმის სტუმრის ყურადღება მიიპყრო. შავი ფერის ძროხას მესამე რქა ზუსტად თავის შუა ნაწილში აქვს გამოსული. სხვა მხრივ კი ის არაფრით განსხვავდება სხვა თანამოძმეებისგან და მათთან ერთად მშვიდად ძოვდა ბალახს.

მრავალრქიანობა იშვიათ ანომალიას წარმოადგენს, რომლებიც სხვადასხვა სახეობის წყვილჩლიქოსნებში გვხვდება. ცნობილია ექვსრქიანი ძროხის არსებობა, თუმცა ამგვარ მუტაციას ყველაზე ხშირად ცხვრებში ვხვდებით.

ძროხამ თავდამსხმელი ლომი გაგუდა

კენიაში ძროხამ გაგუდა ლომი, რომელიც მას თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი მერუს ოლქის სოფელ ლუსიუტის ტერიტორიაზე მოხდა. ადგილობრივების თქმით, ლომი ორი კვირის წინ მერუს ეროვნული პარკიდან გამოიქცა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ის შინაურ პირუტყვს: ძროხებს, ცხვრებსა და თხებს თავს ესხმოდა.

თუმცა, მტაცებლის მორიგი მცდელობა, მოენადირებინა შინაური ცხოველი, მისი დაღუპვით დასრულდა. როდესაც ძროხამ ლომის მოახლოება შენიშნა, გაიქცა და მტაცებელი დაახრჩო თოკით, რომლითაც ის ხეზე იყო მიბმული.

პოლიციელებმა მომხდარი დაადასტურეს და აღნიშნეს, რომ ლომს სხეულზე ნატყვიარები ან ნაჭრილობევები არ ეტყობოდა. ამის მიუხედავად, მისი გვამი ექსპერტიზის ჩასატარებლად წაიღეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმის, „პახმელიის“, „ზაპოის“, აგრესიულობის მოხსნა რეალურად შესაძლებელია მცენარეული, უვნებელი, შედეგიანი საშუალებებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში თუნდაც ფარულად. ჩვენ შეუძლებელს შეგაძლებინებთ, სურვილია მთავარი. ვმკურნალობთ ალკოჰოლით დაზიანებულ ღვიძლს. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99. ექიმი-ფიტოთერაპევტი.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკო-ბიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ზაზა ფაჩულიას როლი დეტროიტში



2 წლის განმავლობაში იცავდა ზაზა ფაჩულია გოლდენ სტეიტ უორიორზის ღირსებას და ორჯერ მოიპოვა ნბა-ს ჩემპიონობა. ფაჩულიას კალიფორნიული ერა დასრულებულია – ის წელს პისტონსის მაისურს მოირგებს.

დეტროიტს ფარზე 2 კარგი ფორვარდი ჰყავს, ბლეიკ გრიფინი და ანდრე დრამონდი, კარგია მათი შემცვლელი ჯონ ლუერიც. ჯერჯერობით უცნობია, რა როლი ექნება ფაჩულიას გუნდში.

ფაჩულია მოედანზე ძალზე ჭკვიანურად თამაშობს, თუმცა მას ლიგაში ცოტა ბინძურად მოთამაშის რეპუტაციაც აქვს. ასეთ კალათბურთელს კი პისტონსის ფანები შეიყვარებენ – დეტროიტში უყვართ „ცუდი“ ბიჭები.

ფაჩულია არ არის ყველაზე ნიჭიერი კალათბურთელი, მაგრამ პისტონსს აუცილებლად ესაჭიროება მოედანზე ვეტერანი ლიდერები, ფაჩულია კი სწორედ ასეთია. იმედია, ფაჩულიას საკალათბურთო აიქიუ დადებითად იმოქმედებს დრამონდის თამაშზეც.

მორლენდის გაშვებითა და ფაჩულიას დამატებით გუნდმა საკალათბურთო თვალსაზრისითაც დიდად მოიგო და 300.000 დოლარიც დაზოგა. 3 ვეტერანის დამატება (რობინსონი, კალდერონი, ფაჩულია) პირველ რიგში, იმის ნიშანია, რომ პისტონსი ფლეიოფისთვის ემზადება. ვეტერანებს პლეიოფში თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ.

ასე წერენ ამერიკულ მედიაში ქართველ კალათბურთელზე.

პოპულარული ამერიკული საკალათბურთო პორტალი კი მოზრდილ ანალიტიკურ სტატიას გვთავაზობს ფაჩულიას შესახებ.

– ნბა გუნდების შემადგენლობების რაოდენობრივად შემცირებისკენ მიდის, დეტროიტი საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს. ფაჩულიას დამატების მიზანი შემადგენლობაში დამატებითი სიღრმეების შექმნაა. დრამონდი უდავო ვარსკვლავია ცენტრის პოზიციაზე, მაგრამ ფაჩულიას შეუძლია გუნდისთვის იმის მოტანა, რასაც დრამონდი ვერ ახერხებს. მას შეტევებისას ერთგვარი მეორე პლეიმეიკერის როლის მორგება შეუძლია.

გარდა შეტევაში ასეთი სარგებლიანობისა, მას უშუალოდ ცენტრის ფუნქციების შესრულებაც ეხერხება, ანუ, დეტროიტელთა ჩანაფიქრით, დრამონდს ამოსუნთქვის საშუალება სწორედ ზაზამ უნდა შეუქმნას. დრამონდი დღემდე ყველაფერს აკეთებდა მძიმე ტრავმების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ამ ლიგაში არაფერია გამორიცხული. მართალია, ფაჩულია დრამონდის დონეზე ვერ თამაშობს, მაგრამ, ასაკის მიუხედავად, ამ პოზიციაზე კვლავაც ღირსეული ფიგურაა.

2018-19 წლების სეზონში არავის ექნება ფაჩულიას განვითარებისა და უფრო მაღალ დონეზე ასვლის მოლოდინი, რადგან ეს სეზონი მისთვის მე-16 იქნება ნბა-ში, მაგრამ ის კვლავაც მნიშვნელოვანი კალათბურთელია.

ფაჩულია არაა ძალიან ძლიერი ჰაერში, მაგრამ პარკეტზე მისი შესაძლებლობები ყველასთვისაა ცნობილი. ის ყოველწლიურად 60-70 მატჩს კარგ დონეზე ატარებს და წლეულსაც იგივე ორიენტირები უნდა ჰქონდეს. პისტონსს ძალიან უჭირს შემტევი კაღრების მხრივ და ნებისმიერი მაღლის ტრავმა ფაჩულიას თამაშში სრულფასოვნად ჩართვას ავტომატურად გამოიწვევს.

დეტროიტის თავკაცი დუეინ ქეისი ეცდება, თავისი ახალგაზრდა ტალანტების განვითარებას შეუწყოს ხელი და პარალელურად აღმოსავლეთ კონფერენციაში პისტონსს კონკურენტუნარიანობა შეუნარჩუნოს. ფაჩულია გუნდში გამარჯვებულთა ბანაკიდან მოვიდა. მართალია, ის არ ყოფილა გასულ სეზონში ჩემპიონობაში ყველაზე დიდი წვლილის შემტანი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მას გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს. ზაზამ იცის, რაა საჭირო გამარჯვებისთვის. ფაჩულია, ქეისი და ხოსე კალდერონი აქ იმისთვის არიან, რათა დეტროიტი კონკურენტუნარიანი გუნდი გახდეს.

ალბათ, ფაჩულია ვეღარ შეძლებს 25 და მეტი წუთის თამაშს, მაგრამ ჩვეულ დონეზე 15-20 წუთი მისთვის ამ სეზონში პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ის მზად უნდა იყოს, რომ ქეისი სასურველ მომენტში ბრძოლაში ჩართავს. ფაჩულია ალბათ ამოვარდება როტაციიდან ფლეიოფის დროს, მაგრამ რეგულარულ სეზონში ის უაღრესად საჭირო ფიგურა იქნება.

სამტრედია-დილა: რატომ გავიდა 4 გოლი ბოლო წუთებში?

ტური სკანდალური და დაძაბული მატჩებით გაიხსნა

სამტრედია-დილა 3:5

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 კოვტალიუკი (28), 0:2 რიბეირო (47), 1:2 ტუღუში (60), 1:3 რიბეირო (72), 2:3 ერისთავი (80პ), 3:3 ლიპარტია (83), 3:4 ჯუფი (90), კოვტალიუკი (90)

სამტრედია: პოგორილი, გურული, მამასახლისი, კოშმანი (ერისთავი 71), ტუღუში, ლიპარტია, ჩაჩუა, კერძევაძე (ენდელაძე 53), ჯგერენაია, კუჭუხიძე, გოგიაშვილი

დილა: გუგეშაშვილი, ჩადუნელი, ნ.ქავთარაძე (კორიფაძე 74), გოგუა (ჯუფი 87), ნონიკაშვილი, კოვტალიუკი, ლემპტი (რაჟამაშვილი 61), სანტოსი, გრიგალაშვილი, რიბეირო, სუხიაშვილი

მატჩი უხვგოლიანი, შეცდომებით სავსე და სკანდალურიც გამოდგა. გავრცელებული ხმებით, ერთ-ერთ საბუქმეიკერო კომპანია არ აპირებს, მოგება გადაუხადოს იმ პირებს, რომელთაც 5, 6 და 7 გოლზე მეტი ედოთ. აქვთ საბაბიც – 4 გოლი მატჩის მიწურულს გავიდა და საეჭვო ვითარებაშიც.

საბოლოოდ, დილამ დაამარცხა სამტრედია, რომლის ახალი მწვრთნელი გიორგი დარასელია თავის ყოფილ გუნდს დაუპირისპირდა.

პირველ ტაიმში კომბინაცია რიბეირომ და კოვტალიუკმა გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა ანგარიში გახსნა. ეს საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატზე კოვტალიუკის მე-12 გოლი და რიბეიროს მე-11 საგოლე პასი იყო. შესვენების შემდეგ გორელთა შემტევებმა როლები გაცვალეს და ამჯერად რიბეირომ გაიტანა. სამტრედიელებმა მალე გაქვითეს ერთი ბურთი – თავი ტუღუშმა გამოიჩინა. ამ შემთხვევაში საჯარიმოს მისადგომებთან უხეშად შეცდა რიბეირო...

72-ე წუთზე უკვე რიბეირომ ისარგებლა მეტოქის შეცდომით, მეკარესთან პირისპირ გაიჭრა და დუბლი შეასრულა. მე-80 წუთზე შეცვლაზე შესული ერისთავი მცველებს გაექცა, მეკარემ წაქცია და პენალტი თავად დაზარალებულმა გამოიყენა. 83-ე წუთზე კი, ლიპარტიას შორიდან დარტყმული ბურთი პირდაპირ ხელებში მიდიოდა გუგეშაშვილს, მაგრამ გორელთა მეკარემ ვერ დაიჭირა – 3:3.

მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში 2 გოლი გავიდა: ჯერ თავი ჯუფმა თავური დარტყმით გამოიჩინა, შემდეგ კი, მთელი გუნდით შეტევაზე გადასულ სამტრედიას ზურგი მოუშიშვლდა, კონტრიერიშზე პოგორილისთან პირისპირ ერთბაშად 3 გორელი ფეხბურთელი გავიდა და კოვტალიუკმა საბოლოო ანგარიში დაადაფიქსირა.

ლოკომოტივი-სიონი 1:0

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 კობახიძე (48)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ჭანტურია, ჯიქია (ჯონი 68), შონია, დავითაშვილი, კიკაბიძე (გვალია 46), ლობჟანიძე, გაბაძე, უბილავა, სამურკასოვი (არდაზიშვილი 86), კობახიძე

სიონი: ზარქუა, მინდორაშვილი, გურეშიძე, ნოზაძე, კოშკაძე (მიქაბერიძე 56), ხმალაძე, კირკიტაძე (ტრეტიაკი 62), მახარობლიძე, ისიანი, დათუნაიშვილი (სიხარულია 76), გიორბელიძე

უშუალო კონკურენტების მატჩში თბილისის ლოკომოტივმა ბოლნისის სიონი 1:0 დაამარცხა და 8 ქულით გაექცა გასავარდნ ზონას. ერთადერთი გოლი ოთარ კობახიძის ანგარიშზეა, რომელმაც სტუმართა კარი 48-ე წუთზე აიღო. კობახიძისთვის, სიონთან გოლი მიმდინარე ეროვნულ ლიგაში მეხუთეა.

გოლის ეპიზოდში, მოედნის ცენტრში დავით ჯიქიამ და შეცვლაზე შესულმა ლაშა გვალიამ ითამაშეს კარგად. ლოკოს შემტევმა სიონის იერიში ჩაშალა, საგოლე გადაცემა კი გვალიამ შეასრულა. კობახიძეს დუბლის შესრულება შეეძლო, თუმცა მისი საჯარიმო დარტყმა ძელს მოხვდა.

სიონთან, ლოკომოტივის შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა 33 წლის ამერიკელ ოლურემი ჯონს, რომელმაც 68-ე წუთზე ჯიქია შეცვალა. მოედანზე შესვლიდან რამდენიმე წუთში, რემიმ საჯარიმოსთან კარგად ითამაშა და ზურიკო დავითაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა, ლოკოს შემტევს თორნიკე ზარქუამ აჯობა. გატანა ოლურემს თავადაც შეეძლო, მარჯვენა ფლანგიდან კობახიძის კარგი პასის შემდეგ, ამერიკელი შემტევს ბურთი კარის ხაზთან ახლოს მიუვიდა, თუმცა სტუმართა მეკარემ ზუსტად ითამაშა.

ეს ყველაფერი მეორე ნახევრში მოხდა... პირველ ტაიმში მხოლოდ 1 რეალური საგოლე მომენტი შეიქმნა. გატანა სტუმრებს შეეძლოთ, მაგრამ რევაზ თევდორაძემ ზუსტად ითამაშა და ისიანის დარტყმა მოიგერია.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	23	18	2	3	45-29	56
2.დინამო	22	15	3	4	46-21	48
3.დილა	23	11	9	3	44-30	42
4.ჩიხურა	23	11	5	7	37-23	38
5.ტორპედო	20	9	4	7	31-20	31
6.ლოკომოტივი	23	8	4	11	30-40	28
7.რუსთავი	23	6	8	9	23-27	26
8.სიონი	24	5	5	14	21-41	20
9.სამტრედია	24	2	7	15	19-45	13
10.კოლხეთი	23	3	5	15	21-54	8

შენიშვნა: კოლხეთი 1913-სდაკლებული აქვს 6 ქულა.

ხარაიშვილს აიაქსი აკვირდება

შვედური და ჰოლანდიური პრესა აქტიურად წერს გიორგი ხარაიშვილის მომავალზე. გიოტებორგის ქართველ ნახევარმცველს ამსტერდამის აიაქსი აკვირდება და მისი სკაუტები უკვე გიორგის რამდენიმე თამაშს დაესწრნენ.

– გიორგი ხარაიშვილი ჯერ გიოტებორგის ფეხბურთელიც კი არ არის, რომ მისით უკვე დიდი კლუბები ინტერესდებიან, ისეთები, როგორიც აიაქსია, – წერს ჰოლანდიური მედია.

გიორგი საბურთალოს განათხოვრებული ჰყავს და შვედურ კლუბს მისი კონტრაქტის გამოსყიდვა რამდენიმე მილიონად შეუძლია, ოღონდ ეს 30 ნოემბრამდე უნდა გააკეთოს.

თავად ხარაიშვილის თქმით, თავს შვედეთში და კონკრეტულად გიოტებორგში კარგად გრძნობს და სურს, კლუბში კარგა ხნით დარჩეს. პლუს, კარიერის ახალ ნაბიჯზე იფიქრებს. გიორგის თქმით, პირველი სეზონის კვალობაზე ურიგოდ არ ასპარეზობს, თუმცა ბოლომდე კმაყოფილი არაა, რადგან ფიზიკურად უნდა მოუმატოს – საქართველოს პირველობასთან შედარებით შვედეთში სხვა ტემპში თამაშობენ, საწყისი 2 თვე მისთვის ამ ასპექტში კოშმარი იყო, მერე კი ყველაფერი მოწესრიგდა.

დავუბრუნდეთ აიაქსს, რომლის მთავარი სკაუტი ჰენკ ველდმატე გიოტებორგის მატჩებს ხარაიშვილის თამაშის სანახავად არაერთხელ დაესწრო.

შვედური კლუბის სპორტულმა დირექტორმა მატს გრენმა განაცხადა, რომ აიაქსის გარდა გიორგის სამსახურით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მაგრამ ის ჯერ გუნდს არ გამოიცვლის.

ხარაიშვილი, რომელიც 22 წლისაა, გიოტებორგის ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი ფეხბურთელია. მის ანგარიშზე 5 გოლი და 4 საგოლე პასია.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

პოგბა და დიბალა გასაცვლელად ემზადებიან

ინგლისური მედიის ცნობით, პოლ პოგბას მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლა საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს. ბრიტანეთში გავრცელებული ინფორმაციით, ფრანგი ფეხბურთელი „ოლდ ტრაფორდზე“ დარჩენას გამორიცხავს.

იტალიურ პრესაში წერენ, რომ პაულო დიბალა იუვენტუსში უკმაყოფილოა.

საქმე ის არის, რომ კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერის შემდეგ, არგენტინელი ტურინულ გრანდში მეორეხარისხოვანი ვარსკვლავი გახდა. მეტიც – ბოლო 2 ტურში სულაც სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ამასობაში, პოგბას კვლავ ყოზე მოურინიოსთან აქვს პრობლემები.

ბრიტანულ მედიაში ვკითხულობთ, რომ იუვენტუსი მზად არის, მანჩესტერ იუნაიტედთან მოლაპარაკებები დაიწყოს. განხილვის თემა კი დიბალასა და პოგბას გაცვლაა...

შეგახსენებთ, რომ 25 წლის პოგბა საფეხბურთო მსოფლიომ იუვენტუსიდან გაიცნო, სადაც 2012 წელს მანჩესტერ იუნაიტედიდან გადავიდა და ტურინულ გრანდში 2016 წლამდე ითამაშა. ამის შემდეგ, იუნაიტედმა ფრანგი 105 მილიონ ევროდ დაიბრუნა, რაც იმ დროისთვის სარეკორდო ტრანსფერი გახლდათ.

ტურინში პოგბას დაბრუნებაზე სერიოზულად ფიქრობენ. არაერთხელ დაიწერა იმის შესახებაც, რომ მანჩესტერ იუნაიტედის ხელმძღვანელები დიბალას შეძენაზე ოცნებობენ. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, საკმაოდ მაღალია იმის შანსი, რომ იუვემ და იუნაიტედმა ვარსკვლავები იანვარშივე გაცვალონ.

შედეგები

15 სექტემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ტოტენჰემი-ლივერპული 1:2
ბორნმუთი-ლესტერი 4:2
სიტი-ფულემი 3:0
ნიუკასლი-არსენალი 1:2
ჰადერსფილდი-კრ.პალასი 0:1
ჩელსი-კარდიფი 4:1
უოტფორდი-მანჩესტერი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	5	5	0	0	14-4	15
2.ლივერპული	5	5	0	0	11-2	15
3.სიტი	5	4	1	0	14-3	13
4.უოტფორდი	5	4	0	1	10-5	12
5.ბორნმუთი	5	3	1	1	10-7	10
6.ტოტენჰემი	5	3	0	2	10-6	9
7.არსენალი	5	3	0	2	10-9	9
8.მანჩესტერი	5	3	0	2	8-8	9
9.ევერტონი	4	1	3	0	7-6	6
10.ლესტერი	5	2	0	3	8-9	6
11.კრ.პალასი	5	2	0	3	4-6	6
12.ვულვზი	4	1	2	1	4-5	5
13.საუთჰემპტონი	4	1	1	2	4-4	4
14.ბრაიტონი	4	1	1	2	5-7	4
15.ფულემი	5	1	1	3	7-12	4
16.კარდიფი	5	0	2	3	3-9	2
17.ჰადერსფილდი	5	0	2	3	2-11	2
18.ნიუკასლი	5	0	1	4	4-8	1
19.ბარნლი	4	0	1	3	3-9	1
20.ვესტ ჰემი	4	0	0	4	2-10	0

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბოლტონი-ქარ 1:2
ბრენტფორდი-უიგანი 2:0
ბრისტოლი-შეფილდი 1:0
მილუოლი-ლიდსი 1:1
ნორვიჩი-მიდლსბრო 1:0
პრესტონი-რედინგი 2:3
როტერჰემი-დერბი 1:0
სუინსი-ნოტინგემი 0:0
ჰალი-იფსვიჩი 2:0
უენსდი-სტოკი 2:2
ბლექბერენი-ასტონ ვილა 1:1

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ატლეტიკო-ეიბარი 1:1
სოსიედადი-ბარსელონა 1:2
ვალენსია-ბეტისი 0:0
ბილბაო-რეალი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	4	4	0	0	14-3	12
2.რეალი	4	3	1	0	11-3	10
3.სელტა	3	2	1	0	5-2	7
4.ბილბაო	3	1	2	0	5-4	5
5.ატლეტიკო	4	1	2	1	3-4	5
6.ბეტისი	4	1	2	1	1-3	5
7.ხეტაფე	3	1	1	1	2-2	4
8.ხირონა	3	1	1	1	2-4	4
9.ალავესი	3	1	1	1	2-4	4
10.უესკა	4	1	1	2	6-12	4
11.სოსიედადი	4	1	1	2	6-7	4
12.ეიბარი	4	1	1	2	4-6	4
13.სევილია	3	1	1	1	4-2	4
14.ვილიარეალი	4	1	1	2	2-3	4
15.ლევანტე	3	1	1	1	6-4	4
16.ესპანიოლი	3	1	1	1	4-3	4
17.ვალენსია	4	0	3	1	3-5	3
18.რაიო	3	1	0	2	2-5	3
19.ვალიადოლიდი	3	0	2	1	0-1	2
20.ლეგანესი	4	0	1	3	4-9	1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიმნასტიკი-ოსასუნა 1:0
მალაგა-კორდობა 3:0
ტენერიფე-რეუსი 0:1
ალკორკონი-დეპორტივო 1:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ლევერკუზენი 3:1
ვოლფსბურგი-ჰერტა 2:2
მაინცი-აუგსბურგი 2:1
ლაიპციგი-ჰანოვერი 3:2
ფორტუნა-ჰოფენჰაიმი 2:1
გლადბახი-შალკე 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	3	3	0	0	9-2	9
2.დორტმუნდი	3	2	1	0	7-2	7
3.ვოლფსბურგი	3	2	1	0	7-4	7
4.ჰერტა	3	2	1	0	5-2	7
5.გლადბახი	3	2	1	0	5-2	7
6.მაინცი	3	2	1	0	4-2	7
7.ვერდერი	2	1	1	0	3-2	4
8.ფორტუნა	3	1	1	1	4-4	4
9.აუგსბურგი	3	1	1	1	4-4	4
10.ლაიპციგი	3	1	1	1	5-7	4
11.ჰოფენჰაიმი	3	1	0	2	5-6	3
12.აინტრახტი	3	1	0	2	4-5	3
13.ჰანოვერი	3	0	2	1	3-4	2
14.ნიურნბერგი	2	0	1	1	1-2	1
15.შალკე	3	0	0	3	2-6	0
16.ფრაიბურგი	2	0	0	2	1-5	0
17.შტუტგარტი	2	0	0	2	0-4	0
18.ლევერკუზენი	3	0	0	3	2-8	0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰამბურგი-ჰაიდენჰაიმი 3:2
ფიურტი-კილი 4:1
დარმშტადი-ზანდჰაუზენი 1:1

იტალია. სერია ა

ინტერი-პარმა 0:1
ნაპოლი-ფიორენტინა 1:0
ფროზინონე-სამპდორია 0:5

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	3	3	0	0	7-3	9
2.ნაპოლი	4	3	0	1	6-6	9
3.სასუოლო	3	2	1	0	8-5	7
4.სამპდორია	3	2	0	1	8-1	6
5.ფიორენტინა	3	2	0	1	7-2	6
6.სპალი	3	2	0	1	2-1	6
7.რომა	4	1	2	1	7-7	5
8.პარმა	4	1	1	2	4-5	4
9.ემპოლი	3	1	1	1	3-2	4
10.კალიარი	3	1	1	1	3-4	4
11.ტორინო	3	1	1	1	3-3	4
12.უდინეზე	3	1	1	1	3-3	4
13.ინტერი	4	1	1	2	5-4	4
14.ატალანტა	3	1	1	1	7-4	4
15.მილანი	2	1	0	1	4-4	3
16.ჯენოა	2	1	0	1	5-6	3
17.ლაციო	3	1	0	2	2-4	3

მთვრალმა ჩინელმა ალიგატორს ფეხი ამოსცხო

ჩინეთში ნაკრძალის დამთვალიერებელმა იშვიათი სახეობის ჩინურ ალიგატორს ფეხი ამოსცხო, მაგრამ ცხოველმა მას ყურადღება არ მიაქცია. ამის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთ ჩინურ გამოცემაში გამოქვეყნდა.

ინციდენტი ჩინეთის ანხოის პროვინციის ქალაქ სიუანჩენის მახლობლად მდებარე ჩინური ალიგატორების ნაკრძალში მოხდა. თავდაპირველად მამაკაცი შეეცადა, ხის ქვეშ ქვაზე მწოლიარე ალიგატორს ხელით მისწვდომოდა, შემდეგ კი ფეხით ცემა დაუწყო. რეპტილიას მის ამ ქმედებებზე რეაგირება არ მოუხდენია, შემდეგ კი წყალში გადახტა და გაცურა.

პარკის წარმომადგენლების თქმით, ამ ინციდენტის შედეგად ალიგატორი არ დაშავებულა, ხოლო მთვრალ მამაკაცს დაუყოვნებლივ დაატოვებინეს ნაკრძალის ტერიტორია. დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, ისინი უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებებს გააძლიერებენ, რათა ალიგატორები დამთვალიერებლებისგან დაიცვან.

აღნიშნულ ნაკრძალში რვა ათასამდე იშვიათი სახეობის ჩინური ალიგატორი ბინადრობს. ეს სახეობა გადაშენების პირას იმყოფება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ველურ ბუნებაში მხოლოდ 120 ცხოველია დარჩენილი.

ფეხმძიმე ქალმა ავტობუსში თავხედ მგზავრს ჭკუა ასწავლა

ლონდონელმა რვა თვის ფეხმძიმე ქალმა გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა ავტობუსის მგზავრისთვის, რომელმაც მას ადგილი არ დაუთმო.

ბრეიდი ლი-კენედის თქმით, ახალგაზრდა მამაკაცმა ავტობუსში უკანასკნელი თავისუფალი ადგილი თავისი პარკით დაიკავა, რომელსაც ხელით იკავებდა. ქალი, მიხვდა რა, რომ ის მისთვის ადგილის დათმობას არ აპირებდა, რომელზეც თავად არც კი იჯდა, პირდაპირ მის ნივთებს დააჯდა.

ქალმა თავისი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია ტვიტერში განათავსა. მისმა მნახველებმა საკუთარი ისტორიების გაზიარება დაიწყეს, რომლებიც საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრების უპატივცემულობას შეეხებოდა.

სისხლიანი ხორცის მოყვარულს ტვინში ჭია ჩაუსახლდა



ჩინეთში სისხლიანი ხორცის მოყვარულის ტვინიდან 10 სანტიმეტრი სიგრძის ჭია ამოიყვანეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ცზიანსის პროვინციის ქალაქ ნანიჩანში მოხდა. 26 წლის ლიუ რამდენიმე თვის განმავლობაში ეპილეფსიური შეტევებისგან იტანჯებოდა, ხოლო მისმა ექიმმა ვერაფრით დაადგინა დაავადების მიზეზი. ბოლოს მამაკაცი რეგიონის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სისხლის ანალიზებმა აჩვენა, რომ მის ორგანიზმში ჭია Spirometra mansoni ბინადრობდა.

შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, რომ პარაზიტი მის ტვინში იყო ჩაბუდებული. ექიმებმა ჭია ჩინელის ტვინიდან ამოიყვანეს. ექიმები მიიჩნევენ, რომ ლიუ პარაზიტის კვერცხებით დასნებოვნდა, როდესაც გრილზე ბოლომდე შეუწველი ხორცი შეჭამა და რომელიც მისი საყვარელი კერძი იყო. ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ პარაზიტის კვერცხი ან თავად ჭია სისხლძარღვში აღწევს, შემდეგ კი ერთ-ერთ ორგანოში იბუდებს, ხოლო ვინაიდან გულის მიერ გადაქაჩული სისხლის მეოთხედი ნაწილი თავის ტვინს მიეწოდება, იმის ალბათობა, რომ პარაზიტი სწორედ იქ დაიბუდებს, ძალიან დიდია. ასეც მოხდა ლიუს შემთხვევაში.

თაღლითი თავს დაუნის სინდრომით დაავადებულად ასაღებდა

ამერიკელ მამაკაც პოლ მენჩაკს თაღლითობის ბრალდება იმის გამო წაუყენეს, რომ ის დაუნის სინდრომით დაავადებულად ასაღებდა თავს და მომვლელებს გასაქანს არ აძლევდა.

არიზონის შტატის ქალაქ გილბერტის მცხოვრები თავს ქალად, ემიდ ასაღებდა და მომვლელებს შეტყობინებებს უგზავნიდა. მასში ის თავის დედად წარუდგებოდა და აღუწერდა, თუ როგორ უნდა მოევლოთ მისთვის. „ემი“ მათ სთხოვდა, რომ 30 წლის მამაკაცისთვის, რომელიც ვითომდა დაუნის სინდრომით იყო დაავადებული, გამოეცვალათ საცვლები და ებანავებინათ. როდესაც მომვლელები ადგილზე მიდიოდნენ, იქ მათ თავად მენჩაკი ხვდებოდა და ფულს გადასცემდა.

მომვლელებმა პოლიციას განუცხადეს, რომ მის ავადმყოფობაში ეჭვი მაშინ შეეპარათ, როდესაც მან მათ სთხოვა, მისი გარკვეული ადგილები გულდასმით გაეწმინდათ. ერთ-ერთმა მათგანმა კი სასამართლოზე ისიც განაცხადა, რომ მენჩაკმა მას რამდენჯერმე დაუყვირა იმის გამო, რომ მის გენიტალიებს საკმარისად დიდხანს არ ბანდა. სულ მამაკაცმა სამი მომვლელის მოტყუება მოახერხა.

მენჩაკს თაღლითობისა და სექსუალური შევიწროების ბრალდება აქვს წაყენებული. მისი საქმის პირველი სასამართლო მოსმენა უახლოეს დღეებში გაიმართება.

ავსტრალიის მაღაზიებში ნემსებგაყრილი მარწყვი იყიდება



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ეძებენ ადამიანს, რომელიც საკერავ ნემსებსა და ქინძისთავებს არჭობს მარწყვებში, რომლებიც სუპერმარკეტებს მიეწოდება.

შტატის პრემიერ-მინისტრმა ანასტასია პალაშჩუკმა მოსახლეობას მოუწოდა, ხელისუფლებას ბოროტმოქმედის პოვნაში დაეხმაროს და ინფორმაციისთვის, რომელიც მის დაკავებაში დაეხმარება, ჯილდოდ 100 ათასი დოლარი დააწესა.

– ეს საფრთხის წინაშე აყენებს ოჯახებს, ასევე რისკის ქვეშ აყენებს მარწყვის წარმოებას. ამ წარმოებას კვინსლენდში 160 მილიონი დოლარის მოგება მოაქვს და ვიღაცა მის საბოტაჟს ცდილობს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ახალი სამხრეთ უელსის პოლიციის მონაცემებით, ნემსები ექვსი ბრენდის მარწყვებში აღმოაჩინეს. ერთ-ერთი მათგანის პროდუქცია მთელი ქვეყნის მაღაზიებს მიეწოდება.

ამერიკელი 50 წელი „მაკდონალდსში“ მუშაობით კმაყოფილია

ამერიკელმა მამაკაცმა საზეიმოდ აღნიშნა „მაკდონალდსში“ საკუთარი მუშაობის 50 წლისთავი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ნორტ ადამსის 73 წლის მცხოვრებმა ალფრედ კაპრონიმ სწრაფი კვების რესტორნების ქსელში მუშაობა 1968 წელს დაიწყო, მენიუში ბიგ-მაკის გამოჩენამდე ოთხი წლით ადრე. თავდაპირველად ის მეზობელ ქალაქ პიტსფილდის რესტორანში მოეწყო სამუშაოდ, მომდევნო წელს კი დაწესებულება მის მშობლიურ ქალაქშიც გაიხსნა და ისიც იქ გადაბარგდა, ხოლო 19 წლის შემდეგ „მაკდონალდსთან“ ერთად სხვა შენობაში გადავიდა, სადაც დღემდე მუშაობს.

– წარმოგიდგენიათ, რამდენი ბურგერი მომიმზადებია ამ დროის განმავლობაში და შვებულებაშიც არასოდეს გავსულვარ, – აღიარა კაპრონიმ.

ის „მაკდონალდსში“ მუშაობის წყალობით დაოჯახდა. მისი მომავალი მეუღლე სამუშაოზე მოსაწყობად მივიდა და ის მამაკაცმა მიიღო, მალე კი პაემანზე დაპატიჟა.

– უკვე მეორე შეხვედრის შემდეგ ვიცოდი, რომ მას ცოლად გავყვებოდი, – განაცხადა მერი ენი კაპრონიმ, რომელმაც 32 წელი მასწავლებლად იმუშავა.

73 წლის მამაკაცი პენსიაზე გასვლას არ აპირებს და სიამოვნებას იღებს იმისგან, რომ ყოველდღე ესალმება კლიენტებს, რომლებსაც უკვე ათწლეულებია იცნობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცეკვის აკადემია თელა

გიწვევთ სამეჯლისო-სპორტული ცეკვების შესასწავლად

მსურველები მიიღებიან ასაკობრივ ჯგუფებში;
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან!
მისამართი: აკ.წერეთლის 126
Email: Academytela@yahoo.com
ტელ: 599-77-80-08

ასტროპროგნოზი

17 სექტემბრისათვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი, ცვალებადი დღეა. სიხარულს იმედგაცრუება მოსდევს და პირიქით. მოვლენების დაჩქარებას ნუ შეეცდებით. **კურო** – ფინანსური მდგომარეობა უცვლელია. შესაძლოა მცირედი შემოსავალი მიიღოთ. **ტყუპები** – ახალი იდეების რეალიზება კმაყოფილებას მოგგვრით. ოქროს შუალედი დაიცავით. **კირჩხიბი** – რეალობასა და სასურველს ერთმანეთში ნუ აურევთ. დღის დევიზია ზომიერება. **ლომი** – მოვლენები თქვენი სურვილების საწინააღმდეგოდ ვითარდება. პრობლემები გელით ახლო ნათესავებთან კონტაქტისას. **ქალწული** – სინდისთან კომპრომისი კატეგორიულად დაუშვებელია. გულისხმას მოუსმინეთ. **სასწორი** – საკუთარი შთაბეჭდილებები ვინმეს გაუზიარეთ. თავს უკეთესად იგრძნობთ. სწორ გზას ადგახართ. **ღრიანკალი** – პროფესიონალური ზრდისთვის ყველა პირობა გაქვთ. ფინანსებს მაქსიმალურად გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – უკიდურესობაში ნუ გადავარდებით. ნებისმიერ სიტუაციაში ზომიერებაა საჭირო. **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე ვერ გაქვთ, თუმცა აუცილებელი არ არის, მხოლოდ საკუთარ პრობლემებზე იფიქროთ. **მერწყული** – წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მიიღებთ. ინტუიციას მიენდეთ. **თევზები** – ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება დაგღლით და დაგაბნევთ. პრიორიტეტი უფრო რთულ საქმეებს მიანიჭეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

სიტყვიერი



1. ქალიშვილი (ინგლისურად); 2. გერმანული ელტექნიკური კომპანია; 3. „... სეზარ დე ბაზანი“; 4. ცხენის კისრის დასასრული ბეჭების თავთან; 5. ამერიკული ჟურნალი; 6. ფართოფარფლებიანი მცენარე; 7. სულების გამოძახება; 8. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 9. ... მორჩილაძე; 10. თხელი ფურცლოვანი რკინა; 11. უბანი თბილისში; 12. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 13. ლექსიკონი, ცნობარი; 14. ტყის სამკურნალო მცენარე; 15. ... გაფრინდაშვილი; 16. იტალიელი პოეტი ... კამპანელა; 17. ვაშა! (იაპონურად); 18. კოლხი მედეას დედა; 19. პოეტური შთაგონების წყარო; 20. ხორციანი კორკოტი; 21. დოღი; 22. ბერძნული ანბანის ასო; 23. ოგიუსტ... (მოქანდაკე); 24. გამაგრილებელი სასმელი; 25. ფიცარის სახერხი დაზგა; 26. რუსული ფულის ერთეული; 27. პატარა ტანის ცხენი; 28. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 29. მეორე ნოტი; 30. ზომის ძირითადი ერთეულის მემილიარდედი; 31. ძვირფასი მეტალი; 32. ქალაქი საფრანგეთში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვულად: 1. შტირია; 2. კარტეჩი; 3. ჯაფარიძე; 4. ალბინოსი; 8. ფიროსმანი; 9. ლამინარია; 11. სუფიქსი; 12. პუმა; 14. ლემა; 16. დისლალია; 17. მადნეული; 19. ფლეგმა; 21. დიდრო.

თარაზულად: 5. საფიჩხია; 6. ბრაშპილი; 7. ფრიკადელი; 10. ვინილი; 13. რამოსი; 15. ემპირეა; 18. მირაჟი; 20. ტრიოდი; 22. აპერიტივი; 23. სინდრომი; 24. ბრისტოლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გელათი; 2. ვიში; 3. გერიატრია; 4. პიაფი; 5. დარჯაკი; 8. ქოქოსი; 9. დარბაზობა; 12. ბაიათი; 14. ბორნეო; 16. ომეგა.

თარაზულად: 1. გვირგვინი; 6. გეორგიკა; 7. ლელქაში; 9. დელისი; 10. ჯიდა; 11. ბოსფორი; 13. ტიბრი; 15. კაზინო; 17. ფაიზერი; 18. საირმე; 19. მოზერი; 20. ფალანგა.

ქალეიდოსკოპი

ალიგატორების გუბურაში ჩასული მამაკაცი ცოცხალი გადარჩა

ამერიკაში მამაკაცი ალიგატორების გუბურაში ჩავიდა და ცოცხალი გადარჩა, თუმცა რეპტილიამ მას რამდენჯერმე უკბინა.

ინციდენტი ფლორიდის შტატის ქალაქ კლირუოტერში მოხდა. 35 წლის მამაკაცი დისკ-გოლფს თამაშობდა, რომლის დროსაც შემთხვევით ბურთი გუბურაში ჩაუვარდა და მის ამოსაღებად წყალში ჩავიდა. იქ მას დაახლოებით 3,3 მეტრი სიგრძის ალიგატორმა უკბინა. მომხდარის თვითმხილველებმა დაუყოვნებლივ გამოიძახეს მაშველები, რომლებიც მამაკაცს წყალსატევიდან ამოსვლაში დაეხმარნენ.

– ის სერიოზულად დაშავდა, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, – განაცხადა ერთ-ერთმა მაშველმა რობ შოუმ. მას შემდეგ, რაც დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაშველებმა ალიგატორების დაჭერის სპეციალისტები გამოიძახეს. მათ წყალსატევიდან ორი რეპტილია ამოიყვანეს და ისინი ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს დასაძინებლად.

შოუმ ასევე აღნიშნა, რომ გუბურასთან რამდენიმე გამაფრთხილებელი ნიშანი იდგა და რომ მასში მტაცებელი რეპტილიები ბინადრობდნენ.

– მას ძალიან გაუმართლა, რომ ცოცხალი გადარჩა, – აღნიშნა მაშველმა.

ლატარიაში სხვისი მოგების მიმთვისებელი ცხრა წლის შემდეგ ამხილეს

დიდ ბრიტანეთში ყოფილი ქვისმთლელი ედვარდ პუტმანი მომგებიანი ლატარიის ბილეთის გაყალბებაში დაადანაშაულეს. თუ მისი დანაშაული დამტკიცდება, მას 2,5 მილიონი ფუნტი სტერლინგის გადახდა მოუწევს.

2009 წელს კომპანია „კამელოტი“, რომელიც ლატარიის გათამაშებას ატარებდა, დიდი ხნის განმავლობაში ვერ პოულობდა იმ პიროვნებას, რომელმაც უზარმაზარი ჯეკპოტი მოიგო. ბოლოს მათ ოფისში მივიდა პუტმანი გაყალბებული ბილეთით და მოგებული თანხა მიიღო.

ინციდენტის გამოძიება მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ დაიწყო. პოლიციისთვის ცნობილი გახდა პუტმანისა და „კამელოტის“ თანამშრომლის ჯაილზ ნიბსის მეგობრობის შესახებ. ქვის მთლელის აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით პირველ დაკითხვამდე მცირე ხნით ადრე ნიბსმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სამწლიანი გამოძიების შემდეგ პუტმანს თაღლითობის ბრალდება წაუყენეს. თუ მას დამნაშავედ ცნობენ, მიღებული თანხის უკან დაბრუნება მოუწევს, სასამართლოს წინაშე კი მომავალ თვეში წარდგება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე გენადი მარსაგიშვილი, შვილები მარინე და ნათია მარსაგიშვილები, შვილიშვილები მათე და გეგი სუჯაშვილები, ქეთი, ბარბარე და ლილე ელოშვილები, სიძეები სპარტაკ სუჯაშვილი და კახა ელოშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანული ხულელიძე

გამოსვენება სამშაბათს, 18 სექტემბერს, 14.00 საათზე;

მის: ყაზბეგის რაიონი, სოფელი აჩხოტი.

მარინე და ნათია მარსაგიშვილებს სამძიმარს ვუცხადებთ დედის

ნანული ხულელიძის

გარდაცვალების გამო.

მეგობრები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ქვემო ქართლში

ქვემო ქართლში სათხის ტაძრის გაწმენდის პროფესში უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გაკეთდა.

ინფორმაცია ამის შესახებ მეცნიერმა ლადო მირიანაშვილმა გაავრცელა:

– მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელიც მრავალი ძეგლის ისტორიას შეცვლის.

ქვემო ქართლში სათხის ტაძრის გაწმენდის პროცესში კანკელის ფრაგმენტი აღმოჩნდა, რომელიც თავის დროზე ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ხელოვნების მუზეუმში გადმოტანილ სრულ კანკელს აკლდა.

ეს ფრაგმენტი ნამდვილი საგანძურია, რადგან მან კანკელის შექმნის თარიღი შემოგვინახა: „[ქ](რონი)კ(ო)ნი იყო ტჟა (1171 წ.)“ (თემო ჯოჯუას წაკითხვა).

ამ აღმოჩენის მნიშვნელობა მრავალმხრივია: 1) ადრე, რენე შმერლინგის მიერ ამ კანკელის 1213-1223 წლებით, ანუ გიორგი-ლაშას ზეობის წლებით დათარიღება არასწორი აღმოჩნდა. სინამდვილეში სათხის კანკელი გიორგი III-ის ზეობის ხანას, ანუ 1156-1184 წლებს მიეკუთვნება.

2) ამ ბოლო დასკვნის შედეგად ავტომატურად გადათარიღდა სათხის ჯგუფის ყველა კანკელი, მათ შორის პირღებულის მონასტრის კანკელიც, რომელიც სათხის ეკლესიის კანკელის ტყუპის ცალია, თანაც ორივეზე ერთისა და იმავე ოსტატის – იოვანეს სახელია ამოკვეთილი.

3) დადასტურდა ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის მოსაზრებები პირღებულის ტაძრის ადრეულობის შესახებ. ეს ტაძარი პარმენ ზაქარაიამ XIII საუკუნით დაათარიღა, რაც შემდგომში სხვა მეცნიერებმაც გაიმეორეს. პარმენ ზაქარაიამ დათარიღებისთვის ამოსავალ წერტილად ლორფინზე შესრულებულ დედოფალთ-დედოფალ რუსუდანის წარწერა აიღო: მან ამ წარწერაში ნახსენები რუსუდანი მეფე რუსუდანთან გააიგივა (1223-1245). ამას კარგად მიება რენე შმერლინგის მიერ პირღებულის კანკელის XIII საუკუნით დათარიღება. 1989 წელს ლორფინის წარწერა ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის წევრმა თემო ჯოჯუამ შეისწავლა და მასში ნახსენები რუსუდანი მეფე გიორგი III-ის დას რუსუდანს დაუკავშირა. მართალია, პირღებულის ექსპედიციის მასალებისა და ანალიზის საფუძველზე გამოცემულ წიგნში მან ეს ასე ცალსახად არ განაცხადა, მაგრამ მოიყვანა პალეოგრაფიული ანალიზის შედეგი, რომლის თანახმად, ჩვენთვის საინტერესო წარწერა „მსგავსებას ამჟღავნებს XII საუკუნის მეორე ნახევრითა და XIII საუკუნით დათარიღებულ მრავალრიცხოვან ლაპიდარულ ძეგლებთან“ (გვ. 170). აქედან კი გამოვიდა, რომ რუსუდანის წარწერის მეფე რუსუდანის ზეობასთან უპირობოდ გაიგივება არასწორი იყო.



4) კანკელის ფრაგმენტის აღმოჩენა ძირს უთხრის პირღებულის ტაძრის არქიტექტურის XIII საუკუნით დათარიღებას, რომელ დასკვნამდეც ჩვენი ექსპედიციის პროცესში ტაძრის ხუროთმოძღვრული ანალიზის საფუძველზე მივედი (გვ. 50-108) და ის X საუკუნის პირველი ნახევრით დავათარიღე, ტაძრის განახლება კი XII-XIII საუკუნეების მიჯნით განვსაზღვრე (გვ. 108). ტაძრის ადრეულობა მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამაც დაადასტურა (არქეოლოგი ნოდარ ბახტაძე). კვლევის დასრულების შემდეგ მივაკვლიე ზაქარია ჭიჭინაძის უცნობ სტატიას, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ პირღებულის მონასტერი X საუკუნეში აუგიათ და XII საუკუნეში კი თამარს განუახლებია.

5) თარიღიანი კანკელის ფრაგმენტის აღმოჩენამ ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის დროს მიღებულ შედეგი, რომ ეკლესია ვერანაირად ვერ იქნებოდა XIII საუკუნის ძეგლი, დაადასტურა.

6) ჩვენში ძალიან უჭირთ ხოლმე ავტორიტეტების მიერ ერთხელ გაჟღერებულ დასკვნებზე უარის თქმა. ასე იყო პირღებულის შემთხვევაში. როდესაც არქიტექტურაზე მომუშავე ერთ-ერთ ავტორიტეტულ ხელოვნებათმცოდნეს ჩემი კვლევის შედეგები გავაცანი, იმის გამო, რომ პირღებულის ტაძრის არქიტექტურაში ადრეული ფორმების არსებობა ვერ უარყო, პარმენ ზაქარაიას დათარიღება იმით დაიცვა, რომ პირღებულის ტაძარი ადრეული ფორმების მოგვიანებით გამეორების – რემინისცენციების მაგალითია.

7) წარწერიანი, თარიღის შემცველი კანკელის ფრაგმენტის მიკვლევა, თეორიულ მსჯელობასთან ერთად, იმის მტკიცე არგუმენტია, რომ პირღებული ტაძრის განახლება არა მეფე რუსუდანის, არამედ მეფე გიორგი III-ის ზეობისას მოხდა. დროა მივეჩვიოთ იმ აზრს, რომ მეცნიერებაში ისეთი დოგმები არ არსებობს, რომელთა გადახედვა არ შეიძლებოდეს.

დიმიტრი გოზალიშვილმა პირველი ადგილი მოიპოვა



მომღერალმა დიმიტრი გოზალიშვილმა ხელოვნების საერთაშორისო კონკურსზე „ორფეუს ინ იტალი“ (ორფეუსი იტალიაში) პირველი ადგილი მოიპოვა.

დიმიტრი მაყურებელმა „ნიჭიერიდან“ გაიცნო. ის საქართველოს პირველი ლედის, მაკა ჩიჩუას ოქროს ღილაკის მფლობელი გახდა და პირდაპირ ნახევარფინალში გადავიდა.

დიმიტრი გოზალიშვილმა თავის ასაკობრივ კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო და სხვადასხვა ქვეყნის მონაწილეებს შორის ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა.

რიგით მე-11 ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში სხვადასხვა ქვეყნის კონკურსანტები მონაწილეობდნენ. ქართველ მომღერალს პირველი ადგილის დამადასტურებელი დიპლომი და მედალი ფესტივალის ორგანიზატორებმა საზეიმო ვითარებაში გადასცეს.

ნინი ბადურაშვილის ახალი კლიპი პოპულარულია

მომღერალმა ნინი ბადურაშვილმა ახალი კლიპი გადაიღო.

„გულს“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომლის მელოდიაც თავად ნინიმ დაწერა, ტექსტი კი თემო საჯაიას ეკუთვნის. სიმღერაზე შავ-თეთრი ვიდეორგოლი რეჟისორმა ლაშა ცერიაშვილმა გადაიღო.

ნინი ბადურაშვილი:

– ვფიქრობ, საინტერესო ნამუშევარი გამოვიდა. ახალ სიმღერას კი მალე მოისმენთ. მადლობა ყველას შეფასებისთვის. თქვენ ჩემი სტიმული ხართ.

სომხური თეატრი დაანგრიეს

ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სომხური თეატრი დაანგრიეს:

– სომხური თეატრი დაშალეს, გაასწორეს მიწასთან. ეს შენობა აგებული იყო ე.წ. პოსტკონსტრუქტივისტულ სტილში, 1936 წელს, პარმენ ზაქარაიას ცნობით, არქიტექტორ ტერ-მიქელოვის მიერ. მისივეა სასტუმრო „თბილისი მარიოტი“, „რკინიგზელთა სახლი“, ქიქოძის 11.

პოსტკონსტრუქტივიზმმა სულ 5-6 წელი იარსება და ის სტალინის მიერ აკრძალული კონსტრუქტივისტული სტილიდან „სოცრეალიზმზე“ გადაპორტირებისას წარმოიშვა. საკმაოდ მწირად არის შენარჩუნებული ამ გარდამავალი სტილის ნაგებობები თბილისში და აგერ ერთიც დავკარგეთ.

სამწუხაროა ეს ყველაფერი, კიდევ უფრო სამწუხაროა ხელოვნებათმცოდნის დასკვნა: „ვფიქრობთ, აღნიშნული შენობის დანგრევა შესაძლებელია, თუმცა მის ადგილას ახალი შენობა სასურველია იმეორებდეს იმავე ფორმებს და ამავდროულად შესაძლებელია თანამედროვე ელემენტების შეტანა. სასურველია ამჟამინდელი, დეკორაციებისთვის განკუთვნილი კოშკურა შენობა არ იყოს იმდენად მაღალი, როგორც ახლა არის და ამ ნაწილის დასადიც გაერთიანებული იყოს ძირითად ნაგებობასთან. ხელოვნებათმცოდნე“ გ. პატაშური.

გიგა კვენეტაძე საქართველოს მთავრობას აკრიტიკებს

მომღერალი და არაერთი ცნობილი ჰიტის ავტორი, გიგა კვენეტაძე, რომელიც წლებია, რუსეთში წავიდა საცხოვრებლად, საქართველოს მთავრობას აკრიტიკებს:

– გეყოთ ამ ინფრასტრუქტურული სირობების მშენებლობა! აჯობებს, ხალხს ფაბრიკა-ქარხნები აუშენოთ, სოფლებში დააბრუნოთ, სოფლის მეურნეობა აუღორძინოთ და შიმშილით არ მოკლათ.

პ.ს. მარიხუანის დათესვით, მოყვანითა და შემდგომ ექსპორტით უნდათ გაამყარონ ლარი. კითხვა: ამ მადლიან მიწაზე სხვა ვერაფრის დათესვა ვერ მოიფიქრეთ, თქვე ოჯახაშენებულებო?!

მიხეილ ბარიშნიკოვს საპატიო თბილისელის წოდება მიენიჭა

მსოფლიოში ცნობილ მოცეკვავეს, ბალეტმაისტერსა და მსახიობს, მიხეილ ბარიშნიკოვს, თბილისის მერის სახელით „საპატიო თბილისელის“ სიგელი და თბილისის სიმბოლური გასაღები გადაეცა.

მიხეილ ბარიშნიკოვი საქართველოში თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ჩამოვიდა. ფესტივალი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში სპექტაკლ „ბროდსკი/ბარიშნიკოვით“ გაიხსნა.

ხატია ბუნიათიშვილის გენერალურმა რეპეტიციამ და კონცერტმა ანშლაგებით ჩაიარა

ხატია ბუნიათიშვილმა რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ თბილისში ჩამოსვლა და კონცერტის გამართვა გადაწყვიტა.

იმდენად დიდი აღმოჩნდა ინტერესი მის კონცერტზე დასასწრებად, რომ ბილეთები ელვის სისწრაფით გაიყიდა. ერთგულმა მსმენელმა ორგანიზატორებს კონცერტის დამატება სთხოვა, თუმცა, პიანისტის გადატვირთული საგასტროლო გრაფიკის გამო, კონცერტის დამატება ვერ მოხერხდა. მაშინ ხატია მიიღო გადაწყვეტილება, უბილეთოდ დარჩენილი მსმენელი გენერალურ რეპეტიციას დასწრებოდა.

14 სექტემბერს დანიშნულმა გენერალურმა რეპეტიციამ სრული ანშლაგით ჩაიარა. იგივე განმეორდა 15 სექტემბერს კონცერტზე, ხატიას მონატრებულმა მსმენელმა ორივე დღეს ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრი სრულად გაავსო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 სექტემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6128

ევრო — 3.0578

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4296

100 რუსული რუბლი — 3.8669

ამინდის პროგნოზი 17 სექტემბრისთვის

„თევზის პედიკიურმა“ ავსტრალიელი ფეხის თითების გარეშე დატოვა

ავსტრალიელმა ქალბატონმა ტაილანდის კურორტზე დასვენების დროს გადაწყვიტა, ეგზოტიკური სპა-პროცედურა, სახელწოდებით „თევზის პედიკიური“, გამოეცადა და შედეგად მარჯვენა ფეხის ყველა თითი დაკარგა.

ინციდენტი 2010 წელს მოხდა. ოთხი წლით ადრე კი ავსტრალიელს ფეხზე ერთი თითი მას შემდეგ მოჰკვეთეს, როდესაც მას გატეხილ მინაზე ფეხის დადგმის შემდეგ ორგანიზმში ინფექცია შეეჭრა. ტაილანდში ყოფნის დროს კი მან გადაწყვიტა, გამოეცადა პროცედურა, რომელიც სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენდა. პროცედურის დროს ადამიანმა ფეხი უნდა ჩაყოს აკვარიუმში, რომელიც წვრილი თევზებითაა სავსე და რომლებიც ფეხიდან მკვდარ კანს აცლიან.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ქალის ახალი დასნებოვნების მიზეზი გახდა ჭუჭყიანი წყალი აკვარიუმში. სამშობლოში დაბრუნებულმა, თავი შეუძლოდ იგრძნო, ხოლო გამოკვლევების ჩატარების შემდეგ მას ოსტეომიელიტის დიაგნოზი დაუსვეს.

2012 წელს ქალს მარჯვენა ფეხის ცერა თითი მოაჭრეს. ამის მიუხედავად, ინფექციის სიმპტომები ისევ მეორდებოდა და შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში მას დანარჩენი ფეხის თითებიც მოაჭრეს.

ტკბილეულის მოყვარული მცხობელი ასი წლის გახდა

ასი წლის ინგლისელმა განაცხადა, რომ ასეთ ასაკამდე მან იმის წყალობით მიაღწია, რომ საკუთარ თავს ტკბილეულზე უარს არასოდეს ეუბნებოდა.

სომერსეტის საგრაფოს ქალაქ ილმინსტერის მკვიდრი ლესლი ჰეიმენი 12 წლიდან მისი პაპის მიერ დაარსებულ ოჯახურ საკონდიტროში მუშაობდა. მას ბავშვობიდან უყვარდა ნამცხვრები და მასზე უარს არასოდეს ამბობდა.

ინგლისელს სამუშაოზე უარის თქმა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის გამო მოუხდა. ჯარში სამსახურის დროს ის ორჯერ გადაურჩა სიკვდილს – იტალიაში ვულკან ეტნას ამოფრქვევის დროს, რომლის ფერდობზე მისი ნაწილი იყო დაბანაკებული და როდესაც მისი ტანკი გერმანელებმა ააფეთქეს. მთელი ეკიპაჟიდან ის ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი აღმოჩნდა.

მამაკაცის ნათესავები მიიჩნევენ, რომ მას ას წლამდე მიღწევაში მისი კარგი მადა და ჯანმრთელი წონა დაეხმარა.

– ლესლის წარმოუდგენელი მადა აქვს. ის თეფშზე არასოდეს არაფერს ტოვებს და ჯერ არასოდეს უთქვამს უარი ტკბილეულზე, – განაცხადა მისმა 74 წლის ნათესავმა ჯენიფერმა.

ჰეიმენი დღემდე საკუთარ სახლში ცხოვრობს, ნათესავების გარემოცვაში. მისი საყვარელი კერძებია ვაშლის ნამცხვარი, ბისკვიტი და შოკოლადის ბრაუნი.

მამაკაცი მეოთხედი საუკუნე მუცლით ინსტრუმენტს ატარებდა

მიანმის ექიმებმა მამაკაცის მუცლიდან 15-სანტიმეტრიანი ქირურგიული ინსტრუმენტი ამოიღეს, რომელიც 26 წლის წინ ოპერაციის დროს მის ორგანიზმში დარჩათ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მამაკაცს მწვავე ტკივილები ტანჯავდა. მომხდარის შესახებ მისმა ოჯახმა იმ ქირურგს აცნობა, რომელმაც მაშინ ოპერაცია გაუკეთა, მაგრამ მან საკუთარი დანაშაული არ აღიარა.

– გულწრფელად ვამბობ, რომ მაშინ მე ის სიკვდილს გადავარჩინე. ოპერაციის გარეშე ის მოკვდებოდა, – განაცხადა ექიმმა.

მან მომხდარში მედდები დაადანაშაულა, რომლებსაც ოპერაციის შემდეგ ინსტრუმენტები უნდა შეემოწმებინათ და გადაეთვალათ. გარდა ამისა, ქირურგმა მაშინდელი პირობების გამოც დაიჩივლა. მისი თქმით, ელექტრომომარაგებაში შეფერხებების გამო ოპერაციის გაკეთება ფარნების შუქზე უხდებოდათ. მამაკაცის ნათესავებმა მიანმის ჯანმრთელობის სამინისტროს მიმართეს და ყველა სამედიცინო ჩანაწერი წარადგინეს. სამინისტრომ საქმის ვითარებაში გასარკვევად ექსპერტები ქალაქების პხიაპოუნისა და ხინტადას საავადმყოფოებში მიავლინა, სადაც მამაკაცს ორივე ოპერაცია გაუკეთდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

რესტორნის მფლობელი მუსიკოსს ეუბნება:

– სამსახურიდან გათავისუფლებული ხართ.

– კი მაგრამ, რატომ?

– სწორად დაკვრა არ იცით! მომხმარებლები გისმენენ და საჭმელს საერთოდ აღარ უკვეთენ.

•••

შესვენებიდან დაბრუნებული მაღაზიის მფლობელი ხედავს, რომ მის გამყიდველს ფეხი შეხვეული აქვს და ეკითხება:

– რა მოხდა?

– უფროსო, ის კოსტიუმი გავყიდე, წლების განმავლობაში რომ ვერ ვყიდდით.

– რომელი, ის საშინელი მწვანე ვარდისფერჯიბეებიანი კოსტიუმი?

– დიახ, სწორედ ის!

– ყოჩაღ! და ფეხზე რა დაგემართა?

– როდესაც იმ უსინათლოს კოსტიუმს ვაზომებდი, მის ძაღლი მეძგერა და მიკბინა!

•••

მიხოს თანასოფლელი ეკითხება:

– როგორი უნდა იყოს მარანი, კარგი ღვინო რომ დადგეს?

– კარგად დაკეტილი.

•••

ცოლ-ქმარი ექიმთან არის მიღებაზე. გასინჯვის შემდეგ ექიმმა ქმარს სთხოვა, გარეთ გასულიყო და შემდეგ მის მეუღლეს ეუბნება:

– თქვენი ქმარი მძიმედ არის დაავადებული! რომ გამოჯანმრთელდეს, ნახევარი წლის განმავლობაში ყოველდღე კარგი კვება სჭირდება, უნდა გაუკეთოთ მისი საყვარელი კერძები, მოუმზადოთ თბილი აბაზანა, გაუკეთოთ მასაჟი, მისთვის სექსუალურად და აღმგზნებად გამოეწყოთ, მასთან ერთად უნდა უყუროთ მის საყვარელ გადაცემებს და მასთან ერთად გაისეირნოთ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაანერვიულოთ და მისი ნებისმიერი სურვილი უნდა შეასრულოთ! თუ ყველა ამ პირობის შესასრულებლად მზად ხართ, მაშინ თქვენი საყვარელი მეუღლე დიდხანს იცოცხლებს.

სახლში მიმავალი ქმარი ცოლს ეკითხება:

– რაო, რა გითხრა ექიმმა?

– მალე მოკვდები...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

საქართველომ საბერძნეთთან სახლში წააგო

გუშინ, 16 სექტემბერს, საქართველოს საკალათბურთო ნაკრები მსოფლიოს პირველობის შესარჩევ მატჩში თბილისში საბერძნეთის ნაკრებს შეხვდა.

მატჩის პირველი ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა – 49:38.

11-ქულიანი განსხვავება კალათბურთში თითქმის არაფერს ნიშნავს და ეს სტუმრებმა მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ დაამტკიცეს. ქართველებმა მეთოდურად დაიწყეს პოზიციების დათმობა და მთელი უპირატესობა გაანიავეს.

მატჩის ბოლოს მასპინძლებმა როგორღაც მოახერხეს უპირატესობის მოპოვება და მატჩის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე 6 ქულით დაწინაურდნენ – 85:79, მაგრამ მოგებისთვის ეს საკმარისი არ გამოდგა.

დარჩენილ დროში ქართველებმა ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვეს, საკუთარ კალათში კი 7 ქულის გაშვება მოახერხეს და დამსახურებულად დამარცხდნენ – 85:86.

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. ფასიანი ქაღალდის სხვა პირისათვის გადაცემის დამადასტურებელი წარწერა; 7. მხარეთა მაჩვენებელი ხელსაწყო; 8. რისამე განხილვა შეფასების მიზნით; 9. ვალერი ...; 13. ქვეყნიდან გასვლის ნებართვა, საბუთი; 14. ღვინის შესანახი ნაგებობა; 18. შტატი აშშ-ში; 19. ერთგვარი სისტემის რევოლვერი; 21. გაზაფხულის თვე; 22. ნამდვილად არსებული ნივთი; 23. შვედეთის კანონთა კრებული შუა საუკუნეებში; 24. ტელეგადაცემა „ერთსულოვნების“ არხზე.

შვეულად: 1. გამონაყარი ლორწოვან გარსზე; 2. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 3. რაიმე გზის გარკვეული მონაკვეთი; 4. სპირტიანი სასმელი; 5. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 10. პაპის რეზიდენცია; 11. თავაშვებული დროსტარება; 12. კაპიუშონიანი ალპინისტების ზედა ჩასაცმელი; 15. რაიმე ადგილის საერთო ხედი; 16. ავსტრალიის შხამიანი გველი; 17. სიტყვიერი ბრძანება; 20. სურნელოვანი ფოთლებიანი ხე ან ბუჩქი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ